

# ՏԵՏՈ ՏՀՈՎԱՅԻՆ ՏԵՂՑՈՐ ՈՍՔՈՒԹՈՅ

## ՄԱԿԵԿԱԽԵՑ ԾԱՑՑՎԵՑՈՍԵԴՅՈՆ

(ԹԱՐԱԿԱ, ՇԱՇՋԱԽԵՑՎՈՂՈ  
ՀՅ ՊԵՎԵՑՎՈՂՈ ՑԱՅՆՔԵՎԱ)

ՀԵՂԳԵԲՈՂՈՅ ԱՀՅՈՎԱԾԼՈՒՄ ԵԱՍՔՈՒԹՈՅ  
(ՊԱՇԱԽԵՋՅՅՈՂՈ) „ՏԵՂՑՈՐ ՈՍՔՈՒԹՈՅ  
ՏԵՏՈ ՏՀՈՎԱՅԻՆ“-Ն ՑՈՒՅՑՈՂՈ

ԴԺՈՂՈՏ

2016

**გამოსატევად ერთეულის  
წმინდა ანონიმუსი (ანონიმუს) 0304000000 საქელობის  
სამსახური ლიტერატურული საგამოცემლო პრეზენტაცია**

**გამოსატევად ერთეულის  
ლიტერატურული გაფინანსები გამოსატევად  
ლიტერატურული გაფინანსები გამოსატევად**

**კავშირი:** ათანასე ბეჭიაძე

**კონკრეტული:** ანასა ბეჭიაძე

**დოკუმენტი:** გ00180 ნაგებობები

**გამოსატევადი:** გ00180 ფოტოები

რეცენზირებულია და ნებადაროველია გამოსაცემად საქართველოს სამოციქულო  
აგრძელებულ მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობის და რეცენზირების  
დეპარტამენტის მიერ. დეპარტამენტის თავმჯდომარე  
ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი

	სამოციქულო	სრ
	08.06.07	№179

ISBN: 99940-41-26-6

1. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობა; მისი ტაძრად მიყვანება. ხარება მარიამისა და მისი მისვლა ელისაბედთან.

(ლუკა, I, 26-56)



მაცხოვების განკაცების დრო მთაბლოვდა. იმ დროს, ქალაქ ნაზარეთში კეთილმსახურნი მთხუცნი – ითავიმე და მისი ცოლი ანნა ცხოვრობდნენ. ითავიმე დავითის ჭომისაგან იყო, ანნა კი – ააბონისა. ისინი უშეილონი იყვნენ და გულმოდგინედ თხოვდნენ ღმერთს, მათთვის შვილი მიეცა. თან აღთქმა დადეს: თუ შვილი მთგვენიჭება, ფაძანში სამსახურად ღმერთს შევწირბვთ. და ამას შეისმინა მათი ვეღრება და მისცა მათ

ასული, რომელსაც მარიამი (ებრაულდ – ქალბატონი) დაარქევს.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, მარიადისქალწულ მარიამის შობას – ღვთისმშობლობას – ეკლესია დღესასწაულობს 8 სექტემბერს – საეკლესიო კალენდრით (21 სექტემბერს – საერთო კალენდრით).



როგორც მარიამს სამი წელი შეუსრულდა, აღთქმისაბებრ, მისმა მშობლებმა იგი ფაძანში მიიყვანეს.



ხოვება მთინდომეს, მაგრამ მას ღვთის წინაშე აღთქმული ჰქონდა სამუდამოდ ქალწულად დატჩებილიყო და გათხოვებაზე უარი განაცხადა. მამინ მღვდლებმა, ღვთის ჩაგონებით, მარიამი დაწინდეს (დანიშნეს) მის შორეულ ნათესავზე, მოხუც ითსებზე, რათა მას ესაჩილდებინა და მოევლო მარიამისთვის. ამასთან, ითსებს შეატყობინეს მარიამის აღთქმა. მართალი ითსები ხურთ\* იყო; იგი დავითის ჭომიდან წარმოდგებოდა და ცხოვრიბდა ქალაქ ნაზარეთში.

ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი ითსების სახლშიც ისევე ღვთისსათხოდ ცხოვრიბდა, როგორც ჭაბარში; მართალ ითსებს ხელსაქმეში შეეწეოდა, კითხულობდა წმიდა წერილის წიგნებს და ლოცულობდა.

**ღვთისმშობლის ჭაბარი მიყვანებას ეკლესია დღესასწაულობს 21 ნოემბერს – საეკლესიო კალენდრით (4 დეკემბერს – საერთო კალენდრით).**

\* ხურთ – ზოგადად შეწებელი, რომელიც სადურგლო სამუშაოსაც ასრულებდა და ქვითაც აშენდა.



ერთხელ მარიამი წინასწარმეტყველ ესაიას წიგნს კითხულობდა. ამ დროს მას ღვთისგან მთვლენილი მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და უთხრა: „გიხართდენ, მიმადლებულთ! უფალი შენ თანა. კურთხეულ ხო შენ დედათა შორის“. პპოვე მადლი ღვთის წინაშე, და აჭა, მუცლადიღებ და შობ ძეს და უწოდებ მის სახელს, იესუს“ ([იესუს ნიშნავს მაცხოვანს](#)). „უთხრა მარიამმა ანგელოზს: როგორ იქნება ეს, რადგან მამაკაცი არ ვიცი? და მიუგო ანგელოზმა და უთხრა მას: სულიწმიდა გადმოვა შენზე და ძალი მაღლისა დაგფარავს შენ; ამიტომ შობილსაც წმიდა ეწოდება, ძე მაღლისა. და აჭა, ელისაბედი, ნათესავი შენი, მანაც მუცლადიღო ძე თავის სიბერეში და ეს მეექვსე თვედ იმისი, რომელსაც ერქვა ბერწი, რადგან არ არის შეუძლებელი ღვთისათვის არც ერთი სიტყვა. და უთხრა მარიამმა: აჭა მხევალი უფლისა, მეყოს მე სიტყვისამებრ შენისა. და წავიდა მისგან ანგელოზი.“




მართლისქმალწულ მართიამის ხარებას ეკლესია  
დღესასწაულობს 25 მარტს – საეკლესიო კა-  
ლენდრით (7 აპრილს – საერთო კალენდრით).

ელისაბედი იყო ცოლი ზაქარია მღვდლისა, ოთმელ-  
საც იმავე მთავარანგელოზმა გაბრიელმა ღვთისმშობლის  
ხარებამდე ექვსი თვით აღრე აუწყა: „ნუ გეშინია,  
ზაქარია, რადგან შესმენილია შენი ვედრება, და  
შენი ცოლი, ელისაბედი, გაშობს შენ ძეს და უწ-  
დებ მის სახელს, ითანეს. და გექნება შენ სიხარუ-  
ლი და შეიარულება და მრავალნი მისი შობით  
გაიხარებენ; რადგან დიდი იქნება უფლის წინაშე  
და ღვინოსა და თაფლუჭებს\* არ შესვამს და სული-  
წმიდით თივსება თავისი დედის მუცლიდანვე.“

---

\* თაფლუჭები – ერთგვარი დამათლებია სასმელი



როგორც კი გაიგონა ელისაბედმა მარიამის მოკითხვა, შეიძრა ყრმა (ითანე) მის მუცელში და აღსო სულიწმიდით ელისაბედი და შეღალად დიდი ხმით და თქვა: „კურთხეულ ხაჩ შენ დედათა შორის, და კურთხეულ აჩს ნაყოფი მუცლისა შენისად!“ და საიდან მეუწყა მე ეს, რომ მოვიდა დედა უფლისა ჩემისა ჩემთან?“ მარიამმა თქვა: „ადიდებს სული ჩემი უფალსა, და განიხარა სულმან ჩემმან ღმრთისა მიმართ, მაგრა თვე ჩემისა, რამეთუ მოხედნა სიმდაბლესა ზედა მკევლისა თვისისასა, რამეთუ აპა ესერა ამიერითგან მნაფრიდენ მე ყოველნი ნათესავნი.“


დარჩა მარიამი ელისაბედთან სამიოდე თვე და დაბრუნდა თავის სახლში. ელისაბედმა შვა ძე და მას ითანე (ებრაულად – ღვთის მადლი) დაარქვეს.

როგორც კი ქალ-წულმა მარიამმა ანგელოზისაგან ელისაბედის მდგომარეობა შეიტყო, „ადგა მარიამი იმ დღეებში და წავიდა სწრაფად მთან მხარეში, იუდას ქალაქში, და შევიდა ზაქარიას სახლში და მთიკითხა ელისაბედი. და იყო,



## 2. შობა იესუ ქრისტეს (მთე, I, 18-25; ლუკა, II, 1-21)

მთაწლოვდა ქრისტეს შთბის ღრმა. „იმ დღეებში გამოვიდა ბრძანება ავგუსტუს კეისარისა, რომ აღწერილიყო მთელი ქვეყანა... და მიდიოდა ყველა, რომ აღწერილიყო, თითოეული – თავის ქალაქში. და ავიდა იოსებიც გალილეიდან, ქალაქ ნაზარეთიდან, ჰურიასტანში, დავითის ქალაქში, რომელსაც ჰქვია ბეთლემი, რადგან იყო იგი დავითის სახლიდან და ჭომიდან, რათა აღწერილიყო მარიამთან, თავის დაწინდულთან, ერთად, რომელიც იყო მუცლადლებული“. იქ მათ სასტუმროში ადგილი ვერ იქმვეს და ლამე გაათიეს გამოქვაბულში, სადაც ავდარში მწყემსები საქონელს აფარებდნენ. ამ გამო-



ქვაბულში, მარტინის ქალწულ მარიამისაგან იშვა უფალი\*

\* უფალი – ღმერთი



ჩვენი და მაცხოვარი\* იქუ ქრისტე:\*\* „და შეახვია  
იგი და ჩააწვინა იგი ბაგაძი“.

„მწყემსები იყვნენ იმ მხარეში ველად და იცავ-  
ლენ ღამის სახმილავზე ([საღარბულო](#)) თავის ფა-  
რას. და, აპა, ანგელოზი უფლისად დაადგა მათ და  
დიდება უფლისად გამოუბრწყინდა მათ და შემინ-  
დენ დიდი შიშით. და უთხრა მათ ანგელოზმა: ნუ  
გემინიათ, რადგან, აპა, გახარებთ თქვენ დიდ სიხა-  
რულს, რომელიც იქნება მთელი ერისთვის, რადგან  
იშვა თქვენთვის დღეს მხსნელი, რომელიც არის  
ქრისტე უფალი, დავითის ქალაქში. და ეს იქნება  
თქვენთვის ნიშანი – იპოვით ყრმას, შეხვეულს და  
მწოდლიარეს ბაგაძი. და უეცრად ანგელოზთან გაჩ-  
ნდა სიმრავლე ზეციურ მხედრობათა რომლებიც  
აქებდნენ ღმერთს და ამბობდნენ: „დიდებად მაღა-  
ლთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშკ-  
დობად და კაცთა შთრის სათნოებად“. და იყო,

\* მაცხოვარი – მხსნელი, მაცხოვანებელი, გამათვაისუფლებელი

\*\* ქრისტე – ცხებული, მესამ, თავი ცხებულთა

როდესაც ავიდნენ მათგან  
ცაში ანგელთხები, მწყემსებ-  
მა უთხრეს ერთმანეთს: გა-  
ვიდეთ ბეთლემადღე და ვიხ-  
ილოთ ეს სიტყვა, რომელიც  
აღსრულდა, რომელიც უფ-  
ალმა გვაუწყის ჩვენ. და მივი-  
დნენ სწრაფად და იპოვეს  
მარიამი და ოთხები და ყრმა,  
მწოლიარე ბაგრძი. და როდე-  
საც იხილეს, გულისხმაყვეს  
სიტყვა, რომელიც ითქვა მათ მიმართ იმ ყრმის  
შესახებ. და ყველას ვისაც ესმოდა, უკვირდა მწყემ-  
სების ნათქვამი მათვის; ხოლო მარიამმა დაი-  
მარხა ეს სიტყვები და ჩაიდოთ თავის გულში“.  
ებრაელების სჯულის თანახმად, მეტვე დღეს ყრმას  
წინადაცვითეს და სახელად დაარქვეს იესუს.



**ქრისტესშთას ეკლესია დღესასწაულთბს  
25 დეკემბერს – საეკლესიო კალენდრით  
(7 იანვარს – საერთო კალენდრით).**

### **3. მ0ჰემა (მ0გებება) იმსა ერისტაზ0 (ლუკა, II, 22-39)**

**შ**თბილან მეორმოცე დღეს მარიამმა და ოსებმა  
მიიყვანეს ყრმა იესუს ჭაძარში, რათა უფლის წინაშე  
წარედგინათ. ამ დროს იერუსალიმში ცხოვრობდა  
მთხუცი სვიმეონი, კაცი მართალი და კეთილმსახური;



ის მაცხოვანს მოელოდა და სულიწმიდა იყო მასზე. მას სულიწმიდისაგან წინასწარ ჰქონდა უწყებული, რომ არ იხილავდა სიკვდილს, ვიდრე არ იხილავდა ცხებულს (*ქრისტეს*).

სულიწმიდის შთაგონებით ის მიეიღა ჭადარში, აიყვანა ყრიმა იქ्सუ ხელში და თქვა: „**აწ განუტევე მონად შენი, მეუფეთ, სიტყვასაებრ შენისა, მშკდობით, რა-მეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებად შენი, რომელ განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა, ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა, და დოდებად ერისა შენისა ისრაცლისა“. ამ დროს იქ იყო ანნა წინასწარმეტყველი, ფანთელის ასული, 84 წლის ქვიშივი ქალი, რომელიც „არ შორდებოდა ჭადას და მარხვით და ვეღრებით ემსახურებოდა ლამე და დღე. და იგი იმავე დროს წარდგა და მადლობდა“.**

უფალს და ეუბნებოდა მის (*ქრისტეს*) შესახებ ყველას, ვინც მთელთდა გამოხსნას იერუსალიმში“.

**მირქმას (მიგებებას) ეკლესია დღესასწაულობს**  
**2 თებერვალს – საეკლესიო კალენდრით**  
**(15 თებერვალს – საერთო კალენდრით).**



#### 4. მოგვების მიერ ყრმა იქსოს

#### თავმართებება (მათე, II, 1-12)

იესუ ქრისტეს „შობისას ჰურიასტანის (*იუდეის*) ბეთლემში, ჰეროდე მეფის დროს, აპა, მოგვები აღმოსავლეთიდან მოვიდნენ იერუსალიმში და ამბობდნენ: სად არის ობლადშობილი მეფე იუდეველთა? რადგან ვინილეთ მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთში და მოვედით, რომ თაყვანი ვცეთ მას.“




ეს რომ გაიგო ჰეროდე მეფემ, შეძრწუნდა და მთელი იერუსალიმი მასთან ერთად; და შეკიბდ ყველა მღვდელთმთავარი და ერის მწიგნობარი\* და გამოიკითხა მათგან, სად უნდა შობილიყო ქრისტე. ხთლო მათ უთხრეს მას: ჰურიასჭანის ბეთლემში, – რადგან ასეა დაწერილი წინასწარმეტყველის მიერ.“

„მაშინ ჰეროდემ ფარულად მოუხმო მოგვებს და გამოიკითხა მათგან დრო ვარსკვლავის გამოჩენისა. და გაგზავნა ისინი ბეთლემში და უთხრა: მიდით და ზედმიწევნით გამოიკითხეთ ყრმის ჟესახებ და, როცა იპოვით, მაცნობეთ მე, რომ მეც მივიდე და თაყვანი ვცე მას“.

მოგვები წავიდნენ ბეთლემში. „და აპა, ვარსკვ-

\* მწიგნობარი – აქ: წმიდა წერილის და სჯულის წესების ზედმიწევნით მცთდნე და მასწავლებელი

ლავი, რომელიც  
 იხილეს აღმოსავა-  
 ლეთში, წინ უძღო-  
 და მათ, ვიდრე არ  
 მივიდა და დაბდგა  
 იმ ადგილს, სადაც  
 იყო ყრმა. ხოლო  
 მათ, როდესაც იხი-  
 ლეს ვარსკვლავი,  
 ფრიად გაიხარეს  
 დიდი სიხარულით.  
 და შევიდნენ რა  
 სახლში, იხილეს  
 ყრმა მარიამთან,  
 მის დედასთან, და-  
 ეცნენ და თაყვანი  
 სცეს მას; და გახსნეს თავისი საგანძურები და  
 მიართვეს მას ძლვენი: ოქრო, გუნდრუკი\* და მური.\*\*  
 მოგვებს ჰერთლესთან მიბრუნება უნდოდათ, მაგრამ  
 „მიიღეს ბრძნება ჩვენებით, რომ არ მიბრუნებუ-  
 ლიყვნენ ჰერთლესთან, და სხვა გზით წავიდნენ  
 თავის ქვეყნაში. ხოლო როდესაც გამორდნენ ისინი  
 (მოვები) აპა, ანგელოზი უფლისა გამოეცხადა ჩვე-  
 ნებით ითხებს და უთხრა: ადექი და წაიყვანე  
 ყრმა და დედა მაგისი და გაიქცი ეგვიპტეში და  
 იყავი იქ, ვიდრე არ გეტყვი შენ, რადგან სურს




\* გუნდრუკი – საკუმული

\*\* მური – ნელსაცხებული. გამოიყენებოდა მეფედ კურთხევისა და  
 მიცვალებულთა გაპატიოსნების დროს

ჰერთდეს მოძებნა ყრმისა და დაღუპვა მისი. ხოლო იგი ადგა და წაიყვანა ყრმა და დედა მისი ლამით და წავიდა ეგვიპტეში და იყო იქ ჰერთდეს აღსასრულამდე”.

„მაშინ ჰერთდემ ნახა, რომ შერცხვენილი აღმოჩნდა მოგვებისაგან, და განტისხდა ძლიერ, გაგზა-




ვნა (ჯარისკაცები) და ამოწყვიტა ყველა ყრმა ბეთლემსა და მთელ მის სახლვრებში, ორი წლისა და უმცროსი,“ იმ იმედით, რომ მათ შორის, ქრისტესაც მოკლავდნენ. მხედრებმა მშინ დააწლოებით 14 000 ყრმა დახოცეს – კალებია მათ ისენიებს 29 ღვეუმბერს – კალესიური კალენდრით (11 იანვარს – საერთო კალენდრით).

როდესაც აღსრულა პეტოდე, ითხებმა ანგელოზის ბრძანებითვე, იქცა და დედამისი კვლავ ისრაელის ქვეყანაში წამისუანა და გალილეის მხარეში, ქალაქ ნაზარეთში დამკვიდრდა, რის გამოც იგი ნაზარეველად წილებოდა. იქ იქცა ქრისტე თცდაათ წლამდე ცხრვრობდა.

## 5. იოანე ნათლისმცემლის ქადაგება უდაბნოში

(მათე, III, 1-12; მარკოს, I, 2-8;  
ლუკა, III, 1-18; იოანე, I, 19-28)

მართალთა, ელისაბედისა და ზაქარიას შვილი – იოანე სიყმაწვილეში დაობლდა. იგი უდაბნოში წავიდა და მთელ დროს მარხვასა და ლოცვაში აჭარებდა; ის აქლების ბეწვით იყო შემთსილი, ერთყა ტყავის სარტყელი და მკალსა და ველურ თაფლს ჰამდა. როცა მას თცდაათი წელი შეუსრულდა, დმტკის ბრძანებით, დაიწყო ქადაგება ჰურიასტანის უდაბნოში და მასთან მიმსვლელებს ეუბნებოდა: „შეინანეთ, რადგან მთახლოებულია სასუფეველი ცათა“ იოანე მოუწიდებდა, რომ სინანულში მყოფნი გამოსწორებულიყვნენ და გამოედოთ ნაყოფი, ლისი სინანულისა, ესე იგი, არ ჩაედინათ ცოდვა და კეთილად ეცხოვრათ. იმათ, ვინც თავის ცოდვებს აღიარებდა, ის ნათლავდა მდინარე



ითხდანეში. ხალხი ფიქ-  
რთბდა, რომ ის იყო ქრის-  
ტე, მაგრამ ითანე ეუბნე-  
ბთდა მათ: „მე ნათელს  
გცემთ თქვენ წყლით სი-  
ნანულისთვის, ხოლო  
ვინც ჩემ შემდეგ მოდ-  
ის (ქრისტე), ჩემზე ძლი-  
ერია, რომლის ხამლთა\*  
ტვირთვის ღიასიც არა  
ვარ; იგი ნათელს გცემთ  
თქვენ სულიწმიდით და  
ცეცხლით“.

## 6. იესუ ქრისტეს ნათლისღება (მათე, III, 13-17; მარკოს, I, 9-11; ლუკა, III, 21-22; იოანე, I, 29-34)

იესუ ქრისტე 30 წლის იყო, როცა მივიდა „გალი-  
ლეიდან ითხდანებე ითანესთან, რათა ნათელი  
მიეღო მისგან. ხოლო ითანე აჩერებდა მას და  
ეუბნებთდა: მე მმართებს შენგან ნათლის მიღება  
და შენ ჩემთან მოდისარ? მაგრამ იესუმ მიუგო  
და უთხრა მას: დამითმე ახლა, რადგან ასე გვმარ-  
თებს, აღვასრულოთ ჩვენ ყოველი სიმართლე.“  
ესე იგი, ასეთიათ ღვთის ნება. მნიშვნელოვან დაუთმო  
ქრისტეს. „და ნათელი მიიღო იესუმ და ამოვიდა

\* ხამლი – ფეხსაცმელი, ფორმით განსხვავებული თანამედროვე ფეხსაცმლისგან.  
ყველაზე მეტად მთგვავნებს გრძელთასმებიან სანდალს.



მყისვე წელიდან; და აპა, გაეხსნა მას ცანი,\* და იხილა სული ღვთისა, გადმომავალი, როგორც მჭრედი, რომელიც გადმოვიდა მასზე და აპა, ხმა იყო ზეციდან მეტყველი: ეს არის ძე ჩემი საყვარელი, რომელიც სათხოდ ჩემთვის.“

ნათლისლების შემდეგ იესუ ქრისტე უდაბნოში გავიდა და 40 დღე მარხვასა და ლოცვებში გაატარა. ამ დროს მას ემმაკი შეუჩნდა და უნდოდა შეეცდინა, მაგრამ ქრისტემ სძლია. უდაბნოდან გამოსვლის შემდეგ იესუ ქრისტემ ქადაგება დაიწყო.

**ქრისტეს ნათლისლების ეკლესია დღესასწაულობს 6 იანვარს – საეკლესიო კალენდრით  
(19 იანვარს – საერთო კალენდრით)**

---


\* ცანი – ხილული ცა ერთია, სულიერი ცა – რამდენიმე; იგულისხმება ანგელოზთა დასის იეჰაჟეა.


7. 01/09 ჰილასტეს პირველი მიმდევრები  
 და მთხოვთ პირველი სასწაული  
 გალილეის ქალაქ კანაში  
 (ითხე, I, 35-51; II, 1-11.)



*ანებ), როცა ამბობდა ამას, და გამყვა იესუს. და მოძრუნდა იესუ და იხილა ისინი, რომ მისდევდნენ მას, და უთხრა მათ: რას ეძებთ? ხოლო მათ უთხრეს მას: რაბი, — რაც თარგმანით ნიშნავს: მოძღვართ, — სად იმყოფები?*

ერთ დღეს, იესუს ნათლისლების შემდეგ, ითანებ ნათლისმცემელი ითრდანის ნაპირას იდგა. მასთან იყვნენ მისი მოწმეები — ანდრია და ითანე. „და შეხედა იესუს, მომავალს, და თქვა: აჰა, ტარიგი ღვთისა. და გაიგონა მისმა ორმა მოწმაფემ (*ანდრიამ და ითანე*)





უთხრა მათ (იესუს): მთდით და იხილეთ. მივიღნენ და იხილეს, სად იმყოფებოდა, და მასთან დარჩნენ იმ დღეს“.

და იპოვა ანდრიამ „პირველად თავისი ძმა, სიმონი, და უთხრა მას: ვიპოვეთ მესია, რაც ითარგმნება – ქრისტე. ამან (ანდრიამ) მიიყვანა იგი (სიმონი) იესუსთან. შეხედა მას იესუს და უთხრა: შენ ხარ სიმონი, ძე იონასი, შენ გეწოდოს კეფა, რაც ითარგმნება – კლდე (ბერძნულად – პეტრე).

„მომდევნო დღეს მთინდომა იესუს გასვლა გალილეაში და იპოვა ფილიპე. და უთხრა მას იესუს: გამომყევი მე. და იყო ფილიპე ბეთსაიდიდან, ანდრიას და პეტრეს ქალაქიდან.

იპოვა ფილიპემ ნათანაელი და უთხრა მას: ვისწერ დაწერა მთსემ სჯულში და წინასწარმეტყველებმა, ვიპოვეთ – იესუს, ძე იოსებისა, ნაზარეთიდან. და უთხრა






მას ნათანაელმა: ნაჩარეთიდან შესაძლებელია რამე კეთილი იყოს? უთხრა მას ფილიპე: მოდი და იხილე. დაინახა იესუმ ნათანაელი, მისკენ მომავალი, და თქვა მასზე: აპა, ჰემმარიჭად ისრაელელი, რომელშიც მწაკვრობა არ არის. უთხრა მას ნათანაელმა: საიდან მიუნთბ მე? მიუგო იესუმ და უთხრა მას: ვიდრე შენ ფილიპე მოგიხმობდა, როცა იყავი ლელვის ხის ქვეშ, გინილე შენ. მიუგო მას ნათანაელმა და უთხრა: რაბი, შენ ხარ ძე ღვთისა, შენ ხარ მეუფე ისრაელისა! მიუგო იესუმ და უთხრა მას: რადგან გითხვარი შენ, რომ გინილე შენ ლელვის ხის ქვეშ, და გრამს, ამაზე მეტს იხილავ.

და უთხრა მას: ამინ, ამინ გეუბნებით თქვენ: ამიერიდან იხილავთ ცას გახსნილს და ღვთის ანგელოზებს, აღმავალთ და გადმომავალთ ძეზე კაცისა.

„და მესამე დღეს ქორწილი იყო გალილეის კანაში და იყო იესუს დედა იქ. და მიიწვიეს იესუ და მისი მოწაფეები ქორწილში. და ოთცა შემთაკლდათ ღვინო. უთხრა იესუს მისმა დედამ: ღვინო არა აქვთ. უთხრა მას იესუმ: რა არის ჩემი და შენი საზრუნო, დედაკაცო? ჯერ არ მოსულა ჩემი ჟამი“. მაგრამ მარტიმება იკათდა, რომ იესუ ქრისტე არ დატოვებდა მათ მოწყალების გარეშე და მსახურებს უთხრა: „რასაც გეტყვით თქვენ ([იესუ](#)), გააკეთეთ“.

„და იყო იქ ქვის ექვსი საზრყული“ ([კასრი](#)). „და უთხრა მათ იესუმ: აავსეთ საზრყულები წყლით! და აავსეს ისინი პირამდე. და უთხრა მათ: ამთლეთ ახლა და მიუტანეთ სუფრის გამგეს ([სუფრის წამყვანს, თამადას](#)); და მათ მიუტანეს.

და ოთდესაც იგემა სუფრის გამგემ წყალი, ოთ-



მელიც ღვინოდ იქცა – არ იცოდა, საიდან იყო, ხოლო მსახურებმა, რომლებმაც ათვესეს წყალი, იცოდნენ – მოუხმო სიძეს სუფრის გამგემ და უთხრა მას: ყოველი კაცი ჯერ კარგ ღვინოს დგამს და, როცა დათვრებიან, მაშინ – ურიგოს, ხოლო შენ შეინახე კარგი ღვინო აქამდე.

ასე დაიწყო სასწაულთა ქმნა იესუს გალილეის კანაში და გამოუცხადა თავისი დიდება და იორმუნეს მისი მისმა მოწაფეებმა“.

### 8. ვაჟრის განდევნების ტაძრიდან (თანა, II, 12-25.)

„მთახლოებული იყო იუდეველთა პასუქი და ავიდა იესუს იერუსალიმში; და ნახა ჭაძანში ხა-



რების და ცხვრების და მტრედების გამყიდველები და მეკერმეები, მსხდომარენი, და გაიკეთა შოლჭი საბლისგან და გამოყარა ჭაძრიდან ყველა: ცხვრები და ხარები, და მეკერმეებს დაუბნია კერძა და მაგიდები გადაუყირავა და მტრედების გამყიდველებს უთხრა: აიღეთ ეს აქედან და ნუ აქცევთ ჩემი მამის სახლს საფაჭოთ სახლიად“. „მიუგეს იუდეველებმა და უთხრეს მას: რა სასწაულს გვიჩვენებ ჩვენ, ამას რომ აკეთებ? მიუგო იესუმ და უთხრა მათ: დაანგრიეთ ეს ჭაძარი და სამ დღეში აღვადგენ მას“. ამით იესუ ქრისტე ამბობდა: როგორ თქვენ მთმკლავთ, დაარღვევთ ჩემს სხეულს (ღვთის ჭაძარს), მე მესამე დღეს აღვადგებით (განსაკუთრებით აქედან ჩანს ღმრთელებრივი ძალა ქრისტესი).

ჰურიებმა მისი სიტყვები გრძელება და გრძელდნენ მას. პასექის დროს იესუმ მრავალი სასწაული აღისრულა, და ბევრმა ირწმუნა მისი.

## 9. დავრდომილის განპარნება ბეთეზდაში (თანე, V, 2-15.)


ვაჭრების ჭაძრიდან განდევნიდან ერთი წლის შემდეგ, პასექის დღესასწაულზე, იესუ ქრისტე კვლავ მივიდა იერუსალიმში. იქ, ცხოვართა საბანელთან იყო ჭბა ხუთთაბანი თახნით (**სტათი**). მას ებრაულად ბეთეზდა (**მოწყალების სახლი**) ერქვა. იქ მრავალი ავადმყოფი იწვა: ბრძები, კოჭლები და სხვები. ყველა მათგანი წყლის ამღვრევას მოელოდა. უფლის ანგელოზი წელიწადში ერთხელ გადმოდიოდა საბანებელში,



ამღვრევდა წყალს და ვინც ამღვრეულ წყალში პირევლი ჩავიდთდა, რა სენითაც არ უნდა ყოფილიყო შეპყრობილი, განიკურნებთდა. იქ იყო ერთი კაცი, რომელიც 38 წელი ავადმყოფთბდა. იესუ მივიდა მასთან და ჰქითხა: „გინდა, გამოვანმრთელდე?“ უძლურმა მიუგო: მინთა, მაგრამ კაცი არა მყავს, რომ ჩამიშვას საბანელში მაშინვე, როცა წყალი აიმღვრევა; სხვა ჩემზე წინ ჩასული მხედვებათ. ქრისტემ უთხრა მას: „ადექი, აიღე შენი საწოლი და იარე!“ უძლური მაშინვე განიკურნა, თავისი ლოგინი აიღო და წავიდა. ეს მოხდა შაბათ დღეს. ჰურიებმა უთხრეს განკურნებულს: შაბათია დღეს, ლოგინის წაღების უფლება არ გაქვს. მან მიუგო: ვინც განმკურნა, მან მითხრა: აიღე შენი ლოგინი და წადით. ჰურიებმა ჰქითხეს მას: „ვინ არის ის კაცი, ვინც გითხრა შენ: აიღე შენი

**საწოლი და იარე?“** განკუტნებულმა არ იცოდა, ვინ იყო იგი, და ვეღარც დაინახა, რადგან იქვე ხალხს მიეფარა. ამის შემდეგ იქვე ჭამარში შეხვდა მას და უთხრა: „აპერ გამოჯანმრთელდი, ნუღარ სცოდავ, რათა რამე უარესი არ შეგემთხვეს შენ. წავიდა ის კაცი და აუწყა იუდეველებს, რომ იესუს, ვინც განკუტნა იგი.“ ჰურიებმა იესუს დევნა დაუწყეს, მისი მთკვლა უნდოდათ იმის გამო, რომ ასეთ საქმეებს შაბათობითაც აკეთებდა.

## 10. მოციქულების გამოჩევა (ლუკ, VI, 12-16.)



ერთხელ იესუს ქრისტე მთაწე ავიდა საბლოცაფად და მთელი ღამე ლოცულობდა. როგორ გათენდა, მთუწოდა თავის მოწაფეებს „და გამოიტხია მთა თორმეტნი, რომელთაც მოციქულები უწოდა: სიმონი, რომელსაც უწოდა პეტრე, და ანდრია, მმა მისი, იაკობი და იოანე, ფილიპე და ბართლომე, მთე და თომა, იაკობ ალფესი და სიმონი, რომელსაც ერქვა მოშუტნე, იუდა იაკობისა და იუდა ისკარიოტელი, რომელიც იყო გმუემი.“

## 11. ჸალებება მთავარი (მათვ, V, 1-VIII, 1; ლუკა, VI, 20-49)

„როდესაც იხილა ხალხი, ავიდა მთაწე (იესუს ქასტე), დაჯდა იგი და მივიღნენ მასთან მისი მოწაფეები. და გახსნა პირი, ასწავლიდა მათ და ეუბნებოდა:

(1) „ნეტარ იყვნენ გლოხაკენი სულითა (თავმდა ბალნი), რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათად.



(2) ნეტარ იყვნენ მგლოგარენი გულითა (რო-  
მლებიც წერან საკუთარი ცოდვების გამო), რამეთუ  
იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ.

(3) ნეტარ იყვნენ მშვიდნი (უწყინარენ), რამეთუ  
მათ დაიმკვდრონ ქუეყანად.

(4) ნეტარ იყვნენ, რომელთა პშითდის და სწყუ-  
რთდის სიმართლისათვს ([სიმართლის მიმღევარი](#)),  
რამეთუ იგინი განძღვენ.

(5) ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შე-  
იწყალნენ.

(6) ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ  
ღმერთი იხილონ.

(7) ნეტარ იყვნენ მშკრობისმყოფელნი, რამეთუ  
იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ.

(8) ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვს,  
რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათად.

(9) ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გყუედლიდენ  
და გდევნიდენ და თქუან ყოველი სიჭყუად ბორთჭი  
თქუენდა მომართ სიცრუვით ჩემთვს.



გხიართდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყი-  
დელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა“.

იესუ ქრისტე ოფორთვე ასწავლიდა, რომ არ დაერ-  
ღვიათ სკული ლვისა, არამედ აღსრულებინათ იგი;  
არ განრისხებთდნენ მოყვაბს, არამედ ყველასთან შშვი-  
ლთბიანად ეკანოვათ; განშორებთდნენ ყოველივე იმას,  
რაც აცდუნებს ადამიანს; არ დაეფიცათ, არამედ ყო-  
ველთვის სიძართლე ეთქვათ; ბოროტების ნაცვლად  
ბოროტება არ მიეგოთ, არამედ მტერიც კი ჰყოარებთ-  
დათ, ეპურთხებინათ მაწყევარი მათი, კეთილი ეყოთ  
მოძულეთათვის; ქველმოქმედება ფარულად აღასრუ-  
ლებინათ; მიეტევებინათ ადამიანებისათვის მათი შეც-  
თლებები, მომეტებულად წირუნათ წეციურ სასუფელები  
დამკვიდრებისათვის და არა ამქვეყნიურ კეთილდღება-  
ზე; არ გაეკიცხათ სხვა ადამიანები, არ მოეძებნათ მათში  
ნაკლი, არამედ საკუთარი ნაკლი გამოქაწორებინათ. ის  
ამბობდა: „ყოველივე, რაც გინდათ, რომ გაფიკეთონ  
თქვენ ადამიანებმა, თქვენც ის გაუკეთეთ მათ“.

როცა იესუმ ქადაგება დასრულა, ხალხს უკვირდა  
მისი სწავლება, რადგან ის ასწავლიდა, როგორც ძალა-  
უფლების მქონე.

## 12. ქვემოთ დედაპირის გარდაცვლილი ძის აღდგენა ნაიში (ლუკ, VII, 11-17)

ერთხელ, იესუ ქრისტე „მიდიოდა ქალაქში, რომელ-  
საც ეწოდებოდა ნაინი, და თან მიჰყვებოდნენ მას  
თავისი მოწაფეები და დიდალი ხალხი. და როცა



მიუახლოვდა ქალაქის კარიბჭეს, აპა, მოასვენებდნენ მკვდარს, ერთადერთ ძეს თავისი დედისას, და იყო იგი ქვრივი და ქალაქის დიდალი სალხი იყო მასთან.

და იხილა იგი უფალმა და შეებრალა იგი და უთხრა მას: ნუ ჭირი!

და მივიდა და შეენო კუბოს; ხოლო რომლებსაც მიჰქონდათ, დადგეს, და უთხრა: ჭაბუკო, შენ გეუბნები, ადექი!

და წამოჯდა მკვდარი და დაიწყო ლაპარაკი და მისცა იგი მის დედას. და შიშმა შეიძყრო ყველა და ადიდებდნენ ღმერთს და ამბობდნენ: დიდი წინასწარმეტყველი აღდგა ჩვენ შორის და გადმოხედა ღმერთმა თავის ერს“.

### 13. 08880 მოქადაგება (მთვე, XIII, 3-23; მარკოს, IV, 2-20; ლუკა, VIII, 5-15.)

ერთხელ, იესუ ქრისტე გალილეის ტბის ნაპირას გაჩერდა. მასთან შეიკიბია უამრავი ხალხი. იესუ ნავში ჩაჯდა; ხალხი კი ნაპირთან იდგა. მაშინ წარმოთქვა მან იგავი მთესველზე:

„აჰა, გამოვიდა მთესველი დასათესად და როცა თესავდა იგი, ზოგი დავარდა გზასთან, და მივიღნენ ცის ფრინველები და შეჭამეს იგი; და სხვა დავარდა კლდოვანზე, სადაც არ იყო ბევრი მიწა, და მყისვე აღმოცენდა, რადგან არ ჰქონდა მიწას სიღრმე; და მზე რომ ამოვიდა, დაჭქნა და, რადგან არ ჰქონდა ფესვი, განმა; და სხვა ჩავარდა ეკლებში და ამოვიდა ეკლები და მოაშთო იგი;



და სხვა დავარდა  
კარგ მიწაზე და გამ-  
თილო ნაყოფი: ზოგ-  
მა – ასი, ზოგმა –  
სამთური და ზოგმა –  
ოცდათათა.“

ეს რომ დაასრულა,  
თქვა: „ვისაც აქვს  
ყურები სასმენად,  
ისმინდა!“.


მოწაფეებმა ჰყითხ-  
ეს მას: „რას ნიშნავს  
ეს იგავი?“ ქრისტემ  
განუმარტა, რომ თეს-  
ლი არის სიტყვა ღვთი-  
სა, მთესველი კი არის  
ის, ვინც ღვთას სიტყვას თესავს ანუ ქადაგებს. „ყვე-  
ლასთან, ვინც ისმენს სასუფევლის სიტყვას და  
არ გაიგებს (*უყურადღებოდ მთისმენს*), მიდის უკე-  
თური და იტაცებს დათესილს მასი გულიდან. ეს  
არის, რომელიც გწასთან დაითესა, ხოლო კლდო-  
ვანზე დათესილი ეს არის: ვინც ისმენს სიტყვას  
და მყისვე სიხარულით იღებს მას; და რადგან  
ფესვი არა აქვს თავის თავში, არამედ დროე-  
ბითად, როდესაც იქნება გაჭირვება ან დეგნა ამ  
სიტყვის გამო, მყისვე დაბრკოლდება; ხოლო ეპ-  
ლებში დათესილი ეს არის: ვინც სიტყვას ისმენს  
და ამ სოფლის სახრუნავი და სიძლიდრის საც-  
დური აშთობს სიტყვას და უნაყოფო ხდება; ხოლო



კარგ მიწაზე დათესილი ეს არის: ვინც სიტყვას ისმენს და იგებს; ვისაც გამოაქვს ნაყოფი და აქცევს ზოგი ასად, ზოგი – სამოცად, ზოგი – ოცდაათად.


#### 14. 01სეს მიერ ჭლვისა და ჩარჩოს ღამორჩილება (მათე, VIII, 24-27; მარკოს, IV, 35-41; ლუკა, VIII, 22-25.)

„და იყო, ერთ დღეს ავიდა იგი (*იუსუ*) ნავზე, და მისი მოწაფეებიც, და უთხრა მათ: გავიდეთ ჭბის გაღმა. და წავიდნენ. და მიცურავდნენ რა ისინი, ჩაეძინა.“ უეცრად ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა. ნავი წყლით ივსებთდა. მოწაფეები შეშინდნენ, გააღვიძეს იუსუ და უთხრეს: „უფალო, გვიხსენი ჩვენ, ვიღუპებით.“ უფალმა მიუგო: „რაჭომ შეშინდით, მცირედ-მორწმუნენთ? მაშინ ადგა და შერისხა ქარები და ზღვა და დადგა დიდი მყუდროება“. სოლო მოცი-ქულები გაოცდნენ და თქვეს: „ვინ არის ეს, რომ ქარებიცა და ზღვაც ემორჩილებიან მას?“



**15. სისხლედინარე ღედაკაცის განპუნქნება  
და იაიროსის გარდაცვლილი  
ასელის აღდგენა**  
**(მათე, IX, 18-26; მარკოს, V, 21-43;  
ლუკა, VIII, 41-56.)**

ერთხელ, იესუ ქრისტე ზღვის პირას ასწავლიდა ხალხს. მასთან ამ დროს შესაკრებლის ([სინაგოგის – სამლოცველო სახლის](#)) უფროსი, იაიროსი მივიდა, ფეხებში ჩაუვარდა „და ევეღიებოდ მას, რომ შესულიყო მის სახლში, რადგან ერთადერთი ასული ჰყავდა მას, რომელიც იყო დაახლოებით თორმეტი წლისა, და ის კვდებოდ.“ იესუ წაპყვა მას; თან მიჰყვებოდნენ მოწაფეები და უამრავი ხალხი და აფინებდნენ მას. მათ შორის იყო ერთი ქალი, რომელიც თორმეტი წელი სისხლდენით იჭანვებოდა. მან




მთელი თავისი ქონება მკურნალობას დაპატიჟად, მაგრამ ვერაფრით განიკურნა. როცა იქსუს შესახებ გაიგო, გულში გაიფიქრა: „**შეოლოდ მის სამოსსაც რომ შევეხო, განვიკურნები.**“ მართლაც მიღიდა, სამრმელუნოებით შეეხო მის ტანისამოსს და მძინვე განიკურნა. იქსუმ იგრძნო მისგან გასული ძალა, „**მიბრუნდა ხალხში და თქვა: ვინ შეეხო ჩემს სამოსს? და ეუბნებოდნენ მას მისი მოწაფეები: ხედავ ხალხს, რომელიც გავიწოდებს შენ, და ამბობ: ვინ შემეხო მე? და მიმთხედა გარშემო, რომ დაეხახა, ვინ გააკეთა ეს; ხოლო დედაკაცი შემინდა და აკანკალდა; იცოდა, რაც მთხდა, მივიდა და დავარდა მის წინაშე და უთხრა მთელი სიმართლე;“ – რისთვის შეეხო მას და როგორ განიკურნა მძინვე. ქრისტემ მიუგო: „**ასულო, შენმა ჩრდენაში გიხსნა შენ; წადი მშვიდობით, განკურნებული ხალ შენი სატკივრისგან.**“ ამ დროს მთვიდნენ და იაირთს უთხრეს: „**შენი ასული მოკვდა; რაღაც აწუხებ მოძღვარს?**“ მაგრამ იქსუმ ეს რომ გაიგონა, იაირთს უთხრა: „**ნუ გეშინია, შეოლოდ გწამდეს.**“ როდესაც იაირთსის სახლში მიღიდნენ და იქსუმ იქ მთტირალნი და მგთდებელნი ნახა, უთხრა: „**რად შთოთავთ და ჭირით? ბავშვი არ მოკვდარა, არამედ სძინავს.** და ისინი დასცინდნენ მას“. რადგანაც იცოდნენ, რომ გთვინა მკვდარი იყო. მაშინ იქსუმ სახლიდან ყველა გარეთ გაუშვა, შეოლოდ პეტრე, იაკობი, იოანე და ბავშვის დედ-მამა დატოვა „**და შევიდა, სადაც ბავშვი იწვა. და მოჰკიდა ხელი ბავშვს და უთხრა მას: „ტალითა, კუმი!**“ – რაც ითარგმნება: გთვინა, შენ გეუბნები,**



ადექი! და მყისვე ადგა გოგონა და გაიარა, რადგან  
იყო თორმეტიოდე წლისა, და გაოგნდნენ დიდი  
გაოგნებით. და უბრძანა მათ მრავალგზის, რათა  
არავის გაეგო ეს; და უთხრა, რომ მიეცათ მის-  
თვის საჭმელი“.

#### **16. ჰეროდე მეფის მიერ იოანე ნათლის- გვევლის შეკმრიბა და თავის მოკვეთა (მათე, XIV, 1-12; მარკოს, VI, 14-29; ლუკა, IX, 7-9)**

ითანე წინამთლიბები აღასრულდა ის საქმე, რომლი-  
სთვისაც ღვთისგან იყო მოვლენილი: მან მთამზადა  
ხალხი მაცხოვნის მისაღებად, მოწმობდა, რომ ქრისტე  
არის ძე ღვთისა, და შეთლოთ ამის შემდეგ აღესრულა  
მოწამეთბრივი სიკედილით.



**იარებდნენ მას.“**

ერთხელ, თავის დაბადების დღეს, ჰეროდეტ ქალაქის დიდებულობას ლხინი გუმართა. ლხინის დროს „როკავდო ჰეროდიას ასული წვეულთა შორის და მოეწონა ჰეროდეს, რის გამოც ფიცით აღუთქვა მას, რომ მისცემდა, რასაც ითხოვდა“, თუნდაც სამეფოს ნახევანს. დედის დარიგებით ჰეროდიას ასულმა სთხოვა მეფეს: „მომეცი მე აქ ლანგრით თავი ითანე ნათლისმცემლისა“. მეფე შეწუხდა, მაგრამ ფიცის გამო და სხვებს რომ არ დაეძახათ მისთვის უპირო, „ბრძან, მიეცათ მისთვის. და გაგზავნა და თავი მოკკეთა ითანეს საპურობილები. და მოიგანეს მისი თავი ლანგრით და მისცეს ქალს და მიუტანდ თავის დედას.“ ითანეს მოწაფენი მიყიდნენ საპურობილები, წასვენეს მისი გვამი და დამარხეს.

გალილეის მეფე ჸეროდეტ ცოლად შეირთო თავისი ძმის, ფილიბეს, ცოლი ჸეროდია. ასეთი უსჯულოებისათვის ითანე ამხელდა მას. ჸეროდეტ იგი საპურობილები ჩასვა. „და უნდოდა მისი მთკვლა, მაგრამ ეშინოდა ხალხისა, რადგან როგორც წინასწარმეტყველს აღ-

## 17. ხუთი ათასი პატის დაკურება

(მათე, XIV, 14-21; მარკოზი, VI, 32-44;

ლუკა, IX, 10-17; იოანე, VI, 1-15.)

ერთხელ, იესუ ქრისტე დიდხანს ასწავლიდა ხალხს გალილეის ტბის გაღმა, ერთ უდაბნოში და მრავალი სნეულიც განკურნა. „როგორ მოსალამოვდა, მივიდნენ მასთან მისი მოწაფეები და უთხრეს: უდაბურია ეს ოდგილი და დრო უკვე გასულია; გაუშვი ხალხი, რომ წავიდეს გარშემო დაბებში და იყიდოს თავისთვის საჭმელი; ხოლო იესუმ უთხრა მათ: არ სჭირდებათ წასვლა; თქვენ მიეცით მათ საჭმელი; და მათ უთხრეს მას: არაფერი გვაქვს აქ, გარდა ხუთი პურისა და ორი თევზისა. და უთხრა მათ: მომიტანეთ მე ისინი აქ.“ მოწაფეებმა მიართვეს. უფალმა „აიღო ხუთი პური და ორი



თევზი, აიხედა ცისკენ და აკურთხა და გატეხა და მისცა მოწაფეებს პურები, ხოლო მოწაფეებმა – ხალხს.“ ჭამა ყველამ და დანაყრდა. მერე, იესუს ბრძანებით, „აიღეს დარჩენილი ნატეხები თორმეტი გოდორი სავსე. ხოლო ვინც ჭამა, იყო ხუთი ათასამდე მამაკაცი, გარდა დედაკაცებისა და ყრმებისა.“ როდესაც იქ მყოფებმა იხილეს ეს სასწაული, თქვეს: „ეს არის ჰემმარიტად წინასწარმეტყველი, რომელიც მოვიდა ამ ქვეყნად,“ და მთინდომეს იესუს ქრისტეს დასმა ამქვეყნიურ მეფედ, მაგრამ ის გამორდა მათ.

### 18. შენანელი (სურალი, ფინკიელი) დედაკაცის ასულის განპარება (მათე, XV, 21-28; მარკოს, VII, 24-30.)

ერთხელ, იესუს ქრისტე ჭვიტოსისა და სიდონის შაბაეს მიდიოდა. „მაშინვე გაიგო მის შესახებ ვიღაც დედაკაცმა, რომლის ასულიც არაწმინდა სულით იყო შეპყრობილი, მივიდა და ფეხებში ჩაუვარდა მას – ხოლო დედაკაცი იყო წარმართი, წარმომობით ასურელი ფინიკიელი – და სთხოვდა მას, რათა განედევნა ეშმაკი მისი ასულისგან. და იესუს უთხრა მას: აცალე, ჯერ გაძლენენ შვილები, რადგან არ არის კარგი პურის აღებდ შვილებისგან და ძაღლებისთვის დაგდება.“ ხოლო დედაკაცმა მიუგო და უთხრა მას: „პო, უფალო, მაგრამ ძაღლებიც ჭამენ ნამცეცებს, გადმოცვენილს მათი ბატონების ჭაბლიდან. მაშინ მიუგო

იესუმ და უთხრა მას: ო, დედაკაცო, დიდია შენი  
ტწმენა, მთგეგოს შენ, როგორც გინდა. – და გან-  
იკურნა მისი ასული იმ დროიდან.“



## 19. ვერისცვალება იესუ ჰისტორია (მათე, XVII, 1-13; მარკო, IX, 2-13; ლუკა, IX, 28-36.)

უფლის მოწაფეებს, როგორ ისინი დაინახავდნენ  
ქრისტეს წამებასა და ჯვარცმას, სარწმუნოება რომ  
არ დაპყარობდათ, იესუმ აჩვენა მათ თავისი ღმრთებ-  
რივი დიდება. ერთხელ მან წაიყვანა ბეჭრე, იაკობი  
და იოანე და მათთან ერთად ავიდა თაბორის მთაზე  
სალოცავად. დაღლილთბის გამო მოგიქულებს ჩაეძი-  
ნათ, ხოლო ქრისტემ ლოცვის დროს ფერი იცვალა



და „გაბრწყინდა მისი სა-  
ხე, როგორც მზე; ხოლო  
მისი სამოსი გახდა თეთ-  
რი, როგორც ნათელი. და  
აპა, ეჩვენსათ მათ მოსე  
და ელია, რომელებიც სა-  
უბრძანდნენ მასთან“ ამ  
ქვეყნიდან განსვლაშე, რო-  
მელიც იერუსალიმში მო-  
ლოდდა იესუს. ძლიერმა სი-  
ნათლემ მოციქულები გა-  
მთაღვიდა. მათ იხილეს უფ-  
ლის დიდება და მასთან თრი კაცი. პეტრე მოციქულმა  
უთხრა იესუს: „უფალო, კარგია ჩვენთვის აქ ყოფ-  
ნა; თუ გნებავს, გვაკეთოთ აქ სამი კარავი: შენთვის –  
ერთი და მოსესთვის – ერთი და ელიასთვის –  
ერთი. და ვიდრე იგი ამას ამბობდა, აპა, ნათელმა  
ღრუბელმა დაჩრდილა ისინი და აპა, ხმა იყო  
ღრუბლიდან მეტყველი: ეს არის ძე ჩემი საყვა-  
რელი, რომელიც სათხოა ჩემთვის, მაგისი ისმი-  
ნეთ.“ მოციქულები ძლიერ შეშინდნენ და მიწანე პირქვე  
დაემხნენ. „მივიდა იესუ და შეეხო მათ და უთხრა:  
ადექით და ნუ გეშინიათ. და თვალები რომ გაა-  
ილეს, ვერავინ ნახეს, არამედ მხოლოდ იესუ.“

უფლის ფერისცვალების ეკლესია დღესასწაუ-  
ლობს 6 აგვისტოს – საეკლესიო კალენდრით  
(19 აგვისტოს – საერთო კალენდრით).

## 20. 08580 მოწყვალე სამართიელზე

(ლუკა, X, 25-37)

„ერთი სჯულისმოძღვანი ადგა და სცდიდა მას (ქრისტეს) და ეუბნებოდა: მოძღვანთ, რა გავაკეთო, რომ საუკუნო ცხოვრება დავიმკვიდრო? ხოლო მან (უფალმა) უთხრა მას: სჯულში რა წერია? როგორ კითხულობ? და მან (სჯულისმოძღვანმა) მიუგო და უთხრა: შეიყვარე უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით და მთელი შენი ძალით და მთელი შენი გონებით და მთყვასი შენი, როგორც თავი შენი. და უთხრა მას იესუმ: სწორად მომიგე. ეგ გადაეთე და ცხონდები. ხოლო მას სურდა ემართლებინა თავი და უთხრა იესუს: და ვინ არის ჩემი მთყვასი?“ ამის პასუხად იესუმ მოუთხრო მას იგავი მოწყვალე სამართიელზე:

„ერთი კაცი ჩადიოდა იერუსალიმიდან იერიქოში და ავაჩაკებს ჩაუვარდა ხელში, რომლებმაც გახადეს მას და დაჭრეს, წავიდნენ და დატოვეს ცოცხალმკვდარი. და შემთხვევით ერთი მღვდელი ჩამოდიოდა იმ გზით და ნახა იგი და გვერდი აუარა. და ასევე ლევიანიც\* იმყოფებოდა იმ ადგოლას, მივიდა და ნახა და გვერდი აუარა. და ვიღაც სამართიელი\*\* მიემგზავრებოდა, მიდგა მას და ნახა იგი და შეებრალა; და მივიდა და შეუქ-

\* ლევიანი – ეკლესიის მსახური

\*\* სამართიელები – ებრაულთა მჭრები



ვია მას ჭრილობები და დაასხა ზეთი და ღვინო  
და შესვა იგი საკუთარ სახედარზე და მიიყვანა  
იგი სასტუმროში და იხრუნა მასზე. და მეორე  
დღეს, როცა გამოდიოდა, ამთიღოთ თრი დინარი  
და მისცა სასტუმროს პატრონს და უთხრა: იხ-  
რუნე მასზე და რაც ზედმეტი დაგეხარჯება, როცა  
დავბრუნდები, მოგცემ შენ.

ამ სამთაგან ვინ გვთხია შენ მოყვასი მისი,  
ვინც ხელში ჩაუვარდა ავაზებებს?“ – ჰყითხა იესუმ  
სჯულისმთძლვარს. „და მან თქვა: ვინც გაიღო წყა-  
ლობა მის მიმართ. უთხრა მას იესუმ: წადი და  
შენც გადკეთე ასევე.“ ესე იგი, ყოველი კაცი ანლობ-  
ლად ჩათვალე, ვინც არ უნდა იყოს იგი, და, რითაც  
შეგეძლოს, გაჭირვების დროს დაეხმარეთ.

## 21. 08830 უძლებ შვილზე

(ლუკა, XV, 11-32)


იმის საჩვენებლად, რომ ღმერთი სიხარულითა და სიყვარულით მიიღებს სინაცულში მყოფ ცოდვილებს, რომლებიც მთინანიებენ, იესუ ქრისტემ თქვა იგავი უძლებ შვილზე:

„ვიღოც კაცს ჰყავდა თრი ძე. და უთხრა უმცროსმა თავის მამას: მამა, მომეცი მე კუთვნილი წილი ქონებისა. და გაუყო მათ საცხოვრებელი. არცთუ მრავალი დღის შემდეგ შეაგროვა ყველაზერთი უმცროსმა ძემ და წავიდა შორეულ ქვეყანაში და იქ გაფლანგა თავისი ქონება, რადგან ცხოვრობდა უწესოდ. ხოლო როცა დახარჯა ყველაზერთი, იყო ძლიერი შიმშილი იმ ქვეყანაში და შემთაკლდო მას. და მივიდა და შეეკრა იმ ქვეყნის ერთ მოქალაქეს, ხოლო მან გაუშვა იგი თავის მინდვრებში ღორების სამწყემსავად. და ეწადა გაეძლო მუცელი რკოთი, რომელსაც ჭამდნენ ღორები, და არავინ აძლევდა მას. და გონის მოეგო და თქვა: მამაჩემის რამდენ დაქირავებულს უხვად აქვს პური, ხოლო მე აქ შიმშილით ვკვდები; ავდგები და წავალ მამაჩემთან და ვეტყვი მას: მამათ, ვცოდე ცის მიმართ და შენ წინაშე და აღარა ვარ ღიასი, ვიწოდებოდე შენს ძედ, არამედ მამყოფე მე, როგორც ერთი დაქირავებულთაგანი.

და ადგა და წამოვიდა თავის მამასთან. და როცა ჯერ კიდევ შორს იყო, დაინახა იგი თავისმა მამამ და შეებრალა და გაიქცა და დაემხო მას ქედზე

და ეამბორა მას. და უთხრა მას ძემ: მამათ, ვცოდე  
ცის მიმართ და შენ წინაშე და აღარა ვარ ლიტსი,  
ვიწოდებოდე შენს ძედ. და უთხრა მამამ თავის  
მონებს: გამოიტანეთ სამოსელი პირველი და შე-  
მოსეთ იგი და წამოაცვით მას ბეჭედი ხელზე და  
სამლი - ფეხებზე. და მთიყვანეთ ნასუქი ხბო,  
დაკალით და ვჭამთ და გავინართ, რადგან ეს  
ჩემი ძე მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული  
იყო და გამოჩნდა; - და დაწყეს მხიარულება.

და იყო მისი უფროსი ძე ველად. და როგორც  
კი მთვიდა და მთუახლოვდა სახლს, გაიგონა ხმა  
სიმღერისა და ფეხსულისა, და მთუხმო ერთ  
შეახურთაგანს და ეკითხებოდა: რა არის ეს? ხოლო  
მან უთხრა მას: შენი ძმა მთვიდა და დაკლა  
მამაშენბა ნასუქი ხბო, რადგან ჯანმრთელი დაბ-  
რუნდა იგი. და განრისხდა და არ მოისურვა შესვლა;



ხოლო მამა მისი გამოვიდა და ევედრებთდა მას. და მან მიუვი და უთხრა თავის მამას: აპა, ამდენი წელია გემსახურები შენ და არასდროს გადავსულვარ შენს მცნებას და ჩემთვის არასდროს მოგიცია თიკანი, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად გამეხარა; ხოლო როცა ეს შენი ძე მოვიდა, რომელმაც შეჭამა შენი საცხოვრებელი მეძავებთან, დაუკალი მას ნასუქი ხდო. და მან უთხრა მას: „შვილო, შენ ყოველთვის ჩემთან ხარ და ჩემი ყველაფერი შენია; ხოლო ახლა მხიარულება და სიხარული გვმართებს, რადგან ეს შენი ძმა მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა.“


## 22. 08.030 ელიდასა და ლაზარეზე

(ლუკა, XVI, 19-31)

იესუ ქრისტე აქავლიდა ხალხს, რომ მდიდრები მოწყალენი უნდა იყვნენ და ღარიბებს ეხმარებთდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იმევეუნად დაიტანჯებიან. ეს სწავლებაა გამოხატული იგავმი მდიდარსა და ლაპარტე:

„ერთი კაცი იყო, მდიდარი, და იმოსებთდა ძოწეულით და ბისთნით (*ძირდფასი სამოსელი*) და მხიარულობდა ყოველდღე ბრწყინვალედ. და ერთი გლოახაკი, სახელად ლაშარე, დავრდომილი იყო მის კარიბჭესთან, დაწყლულებული, და უნდოდა გამძღვიული მდიდრის ტაბლიდან გადმოცვენილი ნამცეცებით“. და „ძირდლებიც მოდიოდნენ და მის წყლულებს ლოკავდნენ.“

და იყო, მოკვდა გლოახაკი და მიიყვანეს იგი



ანგელოზებმა აბრაამის წიაღში. მოკვდა მდიდარი და დაიმარხა და ჯოჯონეთში აახილა თავისი თვალები; და იყო რა ტანჯვაში, დაინახა აბრაამი შორიდან და ლაპარე - მის წიაღში; და მან შეპყვირა და თქვა: მამათ აბრაამ, შემიწყალე მე და გამოგზავნე ლაპარე, რათა ჩაყოს თავისი თითის წვერი წყალში და გამიგრილოს ენა, რადგან ვიტანჯები მე ამ ალში; ხოლო აბრაამმა უთხრა: შვილო, გაიხსენე, რომ მიიღე შენი სიკეთე შენს ცხოვრებში და ლაპარე - ბოროტება; და ახლა აქ ეს ნუგემცემულია, ხოლო შენ ისვები. და ყოველივე ამასთან, ჩვენსა და შენ შორის დიდი უფსკრულია დამყარებული, რადგან, ვინც მოისურვებს გადასვლას აქედან თქვენთან, ვერ შეძლებს და ვერც მანდედან გადმოვა ჩვენთან.“ მაშინ მდიდარმა უთხრა აბრაამს: „გთხოვ შენ,

მამათ, რომ გაგზავნთ იგი (**ლაპიარე**) მამაჩემის სახლში, რადგან მყავს ხუთი ძმა, და დაარწმუნოს ისინი, რომ არ მოვიდნენ ისინიც ტანჯვის ამ ადგილზე. და უთხრა მას აბრაამმა: ჰყავთ მთხე და წინასწარმეტყველნი, მათი ისმინონ. ხოლო მან უთხრა: არა, მამათ აბრაამ, არამედ, მკვდართაგან თუ ვინმე მივა მათთან, შეინახებენ. და უთხრა მას (**აბრაამმა**): თუ მთხეს და წინასწარმეტყველებს არ უსმეხენ, მკვდრეთით თუ ვინმე აღდგება, არც იმისას ირწმუნებენ.“

### 23. 08.030 მეზოებისა და ფარისეველზე (ლუკა, XVIII, 9-14.)


იესუ ქრისტემ „უთხრა ზოგიერთებს, რომლებიც დაარწმუნებულნი იყვნენ თავის თავში, რომ მართლები არიან და ამცირებდნენ დანარჩენებს, ეს იგვით“ მეზვერესა\* და ფარისეველზე:\*\*

„ორი კაცი ავიდა ჭადარში სალოცავად: ერთი – ფარისეველი და ერთი – მეზვერე. ფარისეველი დადგა და ასე ლოცულობდა თავისთვის: დმერთო, გმადლობ შენ, რომ არა ვარ, როგორც დანარჩენი ადამიანები, მტაცებელი, ცრუ, მრუში ან როგორც ეს მეზვერე; ვმარხულობ თრგზის შაბათის\*\*\*

\* მეზვერე – ხარჯის ამკრეფი; მეზვერეთბა იმდროინდელ ებრაელ ებრეულ უწნევთბის სინთნიმი იყო.

\*\* ფარისეველი – ძველ ებრაელთა ორელიგიური სექტა, რომლის მიმდევრებიც გარეწულდა, ფარისელურად ასრულებდნენ საყვალესთ წესებს, სიხამდევილები კი სრულიად საწინააღმდეგოს სხადითდნენ.

\*\*\* შაბათი – აქ: იგულისხმება შვიდეული; ებრაელები მასზულობენ შვიდეულის მეთხე და მენუთე დღეს.



განმავლობაში, მეათედს ვინდი მთელი ჩემი მონაცემიდან.

ხოლო მეზვერე შორს იდგა და თვალების აპერტობაც არ უნდოდა ზეცად, არამედ იცემდა მკერდში და ამბობდა: „დმერთ, მიღხინე ცოდვილსა ამას“. გეუბნებით თქვენ: ეს (*მეზვერე*) უფრო გამართლებული ჩამოვიდა თა-

ვის სახლში, ვიდრე ის ფარისეველი, რადგან ყველა, ვინც აიმაღლებს თავს, დაძლაბლდება, ხოლო ვინც დაიმდაბლებს თავს, ამაღლდება.“

## 24. 0ქსეს მ0ერ ყრმების დალოცვა (მათე, XVIII, 2-7; XIX, 13-16; მარკოს, X, 13-16; ლუკა, XVIII, 15-17.)

ერთხელ, დედებმა თავიანთი ბავშვები მიიყვანეს უფალთან, რომ დაელოცა ისინი. მოწაფეები ბავშვებს არ უშვებდნენ – ეგნათ, რომ ისინი ქრისტეს შეაწესდნენ. უფალმა შენიშნა ეს, და უთხრა მათ: „აცადეთ ყრმებს ჩემთან მოსვლა და ნუ აბრკოლებთ მათ, რადგან ასეთების არის სასუფეველი ღვთისა. ამინ გეუბნებით თქვენ: ვინც არ შეიწყნარებს ღვთის სასუფეველს როგორც ყრმა, ვერ შევა მასში. და მოეხვია მათ, დაადო ხელი და აკურთხა ისინი“. ასეთი სიყვარულით ეპყრობთადა მაგნეთვარი ბავშვებს




მათი უმანკოებისათვის. მან მთციქულებს ბავშვი დაუყენა მაყალითად და უთხრა: „ამინ გეუბნებით თქვენ: თუ არ მთიქცევით და არ იქნებით, როგორც ყრმები, ვერ შეხვადოთ ცათა სასუფეველში; რადგან ვინც დაიმდაბლებს თავს, როგორც ეს ყრმა, იგი უფრო დიდი იქნება ცათა სასუფეველში; და ვინც შეიწყნარებს ერთ ასეთ ყრმას ჩემი სახელით, მე შემძიწნარებს; ხოლო ვინც დააბრკოლებს ერთ ამ მცირეთაგანს, რომელსაც სწამს ჩემი, უმჯობესია მისთვის, რომ დაეკიდოს წისქვილის დოლაბი მას ქედზე და დაიხოთქს ზღვის უფსკრულში. ვაი ამ სოფელს საცდურთაგანს, რადგან გარდაუვალია საცდურთა მთსვლა; მაგრამ ვაი იმ კაცს, ვისგანაც მოდის საცდური“.

## 25. ლაზარეს მკვდრეობით წლდგენა

(ითანე, XI, 1-57; XII, 9-11.)

იეჰუსალიმის ახლოს იყო სოფელი ბეთანია, საღარც  
ცხოვრიბდნენ ქრისტეს მეგობარი ლაზარე და მისი  
დები – მართა და მარიამი. ქრისტე ხშირად დადიოდა  
მათთან და უყვარდდა ისინი მათი კეთილმსახურებისათვის.  
ერთხელ, ლაზარე ძლიერ ავად გახდა; ეს ამბავი დებმა  
უმაღლ აცნობეს უფალს, რომელიც მაშინ პურიასტანში  
არ იმყოფებოდა. ქრისტემ წინასწარგანზრახულად  
დაიგვიანა, ამასთბაში ლაზარე გარდაიცვალა და დაასაფ-  
ლავეს კიდევ. „როცა მივიდა იესუ ბეთანიაში, ნახა,  
რომ იგი (ლაზარე) უკვე თხით დღე იყო საფ-  
ლავში“. როგორც კი დაინახა იესუმ, რომ მასთან



გამოგებებული მართამი ჭირთდა და მასთან ერთად მთსული იუდეველებიც ჭირთდნენ, მაშინ მასაც ცრემლები წამოუვიდა. იესუ მივიღა ლაპხარეს საფლავთან; „და იყო გამოქვაბული და ლოდი ედო მას. უთხრა იესუმ: აიღეთ ლოდი“. „აიღეს ლოდი იქიდან, სადაც მკვდარი იყო დასვენებული; ხოლო იესუმ აღაპყრო თვალები ზეცად და“ ილოცა. მეტე „დიდი ხმით დაღადყო: ლაპხარე, გამოდი გარეთ! და გამოვიდა მკვდარი, რომელსაც შეკრული ჰქონდა ფეხები და ხელები სახვევით და მისი სახე სუდარით იყო შეხვეული. უთხრა მათ იესუმ: გახსენით იგი და გაუშვით, გაიაროს“. მაშინ „იუდეველთაგან მრავალმა“ ირწმუნა ქრისტესი. „ხოლო ზოგი მათგანი წავიდა ფარისევლებთან და უთხრა მათ, რაც გააკეთდ იესუმ“.

ამ ამბავმა ჰურიების მღვდელმთავრები და ფარისევლები შეაშფოთა; ისინი მაშინვე შეიკიბნენ, და კაიაფა მღვდელმთავრის რჩევით, გადაწყვიფეს მოეკლათ იესუ.

იესუ გრძილდა ბეთანიას და ქალაქ ეფრაიმში წავიდა.

## 26. იესუ ქრისტეს დიდებით შესვლა იეჲუსილიგზი

(მთვე, XXI, 1-17; მთავრი, XI, 1-11;

ლუკა, XIX, 28-48; ოფანე, XII, 12-19.)

**ჰ**ასექამდე ექვსი დღით ადრე, იესუ ქრისტე ისევ მივიდა ბეთანიაში და იქიდან იერუსალიმში წავიდა. მოწაფებმა, მისივე ბრძანებით, მას ვირი და კვიცი

Η ΒΑΪΟΦΟΡΩ



μοικόγεατρεύεις. Και οὗτος γράφατα τραγούς τρανοίσα αμπτισί δια ιησού ψεζόδα ματέρα. απέκεισκανθί, οικούσατλοι θί σεβα γράφετρα λλαδα, ρική ιησού ου μιδοιτραδα. διορδατλοι σελλοι γαμτεγρέδα ματι δια „υψεζόδα ταρανοισα σαμπτισσα γνατέρα, σετλοτα σενεζόδοι φτωτερεβεσ σεγεδοιδαν δια υψεζόδονερα γνατέρα; δια σελλοσ, ρικημελοιρι ήνοι υδροτραδα δια ρικημελοιρι υγραν μικρυγεδοτραδα, ραλαδερεδα δια αδηδοδα: τσανδα\* δαρανοιτοισα δεισ! κυριοτερεζουλοια, ματεραδαλοι υψηλοισα σενεζελιοιτ! τσανδα ματραδαλιτα ζινδα! δια ρικηδεσαρι ζεζοιδα ιχο οικούσατλοι θί, ζειδηρα μτερελοι καλαρεξι δια αδηδοδονερα: ων ακοισα ερ? σετλοτα σελλοσ αδηδοδα: ερ ακοισα ιησού ήνοισεριακημετρυγελοι γαλαδλεισα σενεδατρετοιδαν“. ιησού ζεζοιδα δωτοισα τρανοιδοι

\*τσανδα – ακαμηγηλ-ερτραγηλο σιφημαα, ταρανοαπιργηλοδα ζιθησερο, ζεμδερα μαοιτα „γετια“ ζιθησερελιτα

და განდევნა იქიდან მოვაჭრენი, ხოლო მასთან მისული ბრძები, კოჭლები და დავრიცმილები განკურნა. „და როგორ ნიხეს მღვდელმთავრებმა და მწიგნობრებმა სასწაულები, რომლებიც აღასრულდ, და ყრმები, რომლებიც დადადებდნენ ტაძარში და ამბობდნენ: ოსანა დავითის ძეს, – კიცხავდნენ და ეუბნებოდნენ მას: გესმის, ესენი რას ამბობენ? ხოლო იესუმ უთხრა მათ: ჰო, არასთავეს ამოგიკითხავთ: ჩვილთა და მეძუძურ ყრმათა პირით დაამტკიცე ქება? და დატოვა ისინი და გავიდა ქალაქის გარეთ, ბეთანიაში, და დარჩა იქ“.

## 27. საყოველობრივ აღდგომისა და სამსჯავროს შესახებ

(მათვ, XXV, 31-46.)

იესუ ქრისტე თავისი მეთაურ მოსვლისა და საშინელი სამსჯავროს შესახებ ასწავლიდა: „როგორ მოვა ძე კაცისა თავისი დიდებით და ყველა მისი ანგელოზი მასთან ერთად, მამინ დაჯდება თავისი დიდების ფახტე. და შეიკრიბება მის წინაშე ყოველი მოდგმა და გამთარჩევს მათ ერთმანეთისგან, როგორც მწყემსი არჩევს ცხვრებს თიკნებისგან. და დააყენებს ცხვრებს თავის მარჯვნივ, ხოლო თიკნებს – მარცხნივ. მამინ ეტყვის მეუფე მის მარჯვნივ მყოფთ: მოდით, კურთხეულნო მამისა ჩემისა და დაიძკვიდრეთ სასუფეველი, თქვენთვის გამზადებული ქვეყნის დასაბამიდან, რადგან მშიოდა და მომეცით მე საჭმელი, მწყურთდა და მასვით




მე, უცხო ვიყავი და შემიწყნარეთ მე, შიშველი ვიყავი და შემმოსეთ მე, უძლური ვიყავი და მომხედეთ მე, საპყრობილები ვიყავი და მოხვედით ჩემთან. მაშინ მიუგებენ მას მართალნი და ეტყვიანს: უფალო, როდის გნახეთ შენ მშიერი და გაჭამეთ ან მწყურვალი – და გასვით? როდის გნახეთ შენ უცხოდ და შეგიწყნარეთ ან შიშველი – და შეგმოსეთ? როდის გნახეთ შენ უძლური ან საპყრობილები და მოვედით შენთან? და მიუგებს მეუფე და ეტყვის მათ: ამინ გეუბნებით თქვენ: რაც გაუკეთეთ ერთს, ამ ჩემს ძმათაგან მცირეს, მე გამიკეთეთ. მაშინ ეტყვის მარცხნივ მყოფთ: წადით ჩემგან, წყეულნო, საუკუნო ცეცხლში, რომელიც გამზადებულია ეშმაკისა და მისი ანგელოზებისთვის, რადგან მშიოდა და არ მომეცით მე საჭმელი, მწყუროდა და არ მასვით მე, უცხო ვიყავი და არ შემმოსეთ მე, უძლური ვიყავი და საპყრობილები და არ მომხედეთ მე. მაშინ მიუგებენ ისინიც და ეტყვიანს: უფალო, როდის გნახეთ შენ მშიერი ან მწყურვალი, ან უცხო, ან შიშველი, ან უძლური, ან საპყრობილები და არ გემსახურეთ შენ? მაშინ მიუგებს მათ და ეტყვის: ამინ გეუბნებით თქვენ: რაც არ გაუკეთეთ ერთ ამ მცირეთაგანს, მე არ გამიკეთეთ. და წავლენ ისინი საუკუნო სატანჯველში, ხოლო მართლები – საუკუნო ცხოვრებაში“.



## 28. 0უდის გარიბება მღვდელმთავრებთან და საიდუმლო სესტება

(მათე, XXVI, 1-5, 14-35; მარკო, XIV, 1, 2, 10-31;  
ლუკა, XXII, 1-39; იოანე, XIII, 1-XVII, 26.)

პასექის დღესასწაული მთანლოვდა. ჰურიების მღვდელმთავანი და მწიგნობანი შეიკიბნენ კაიაფას სახლში, მთითათბილების და დაადგინეს, რომ დაჭარა იქცა და მთეკლათ. მაშინ ქრისტეს ერთი მოციქულთა-



განი, იუდა ისკარიოთტელი, მივიდა მათთან და უთხრა: „რას ინებებთ, რომ მომცეთ, თუ მე გადმოგცემთ მას თქვენ? ხოლო მათ მიუთვადლეს მას თცდაათი ვერცხლია.“ იუდა დათანხმდა „და ამიერიდან ექებდა ხელსაყრელ დროს, რათა გადაეცა იგი მათვის.“ ეს მოხდა თხშაბათს.

ხუთშაბათ საღამოს, უფალი თავის მოწაფეებთან ერთად იერუსაბლიმში წავიდა, საღაც მისთვის მომზადებული იყო თთანი, რათა მას უკანასკნელად შეესრულებინა პასექი. როგორ უფალი თთანში შევიდა, პირველად მოცაიქულებს დაბანა ფეხები; ამით მან თავის მოწაფეებს თავმდაბლობის მაგალითი უჩვენა. ამის შემდეგ, „როდესაც ჭამდნენ ისინი, უთხრა ([იესუს](#)): ამინ გეუბნებით თქვენ: ერთი თქვენგანი გამცემს მე; ხოლო ისინი შეწუხდნენ ძლიერ; და დაიწყო თთოეულმა და ეუბნებთდა მას: ნუთუ მე ვარ, უფალთ?“ ითანე მოცაიქული მკერდზე მიეყრდნო უფალს და ჩუმად ჰკითხა: „უფალო, ვინ არის?“ უფალმა

უპასუხა: „ის არის, ვისაც მე ჩავუწობ ლუკმას და მივცემ. და ჩანაწერ ლუკმა და მისცა იუდას, სიმონ ისკარიოთტელისას“. იუდამ მიიღო პური და ოთახიდან გავიდა; მან უკვე იცოდა, სად გაატარებდა იესუ ლამეს.

ამის შემდეგ, „აიღო იესუმ პური და აკურთხა, გაფეხა და მისცა მოწაფეებს და უთხრა: **მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს კორცი\*** ჩემი. და აიღო სასმისი



და მადლობდა, მისცა მათ და თქვა: **სუთ ამისგანი ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისად, მრავალთათვს დათხეული მისატევებელად ცოდვათა.**“ მოწაფეებმა პურისა და ლვინის სახით მიიღეს ჭეშმარიტი ხორცი და სისხლი ქრისტესი. მეტე ქრისტემ დაუმატა: „**ამას იქმოდეთ ჩემს მოსახსენებლად**“.

როდესაც დამთავრდა საიდუმლო სერთბა, ყველანი ადგნენ, „და იგალობეს და გავიდნენ ზეთისხილის მთაშე.“ ჭრაშე იესუ ქრისტემ თავის მოწაფეებს ახალი

---

\* ხორცი – სხეული


მცნება მისუა: „ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი; როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი. ამით მიხვდება ყველა, რომ ჩემი მოწაფეები ხართ, თუ გეყვარებათ ერთმანეთი.“


## 29. იესუს ღორბის გეთსიმანის პატი.

### იესუს ქრისტეს კვარცხლება და დაპრაქტიზება.

(მათე, XXVI და XXVII თავები; მარკოს, XIV  
და XV თავები; ლუკა, XXII და XXIII თავები;  
იოვანე, XVIII და XIX თავები)

იესუს და მისი მოწაფეები მივიღნენ გეთსიმანის ბალში. უფალმა თავის მოწაფეებს უთხრა: „დასხედით აქ, ვიდრე ვილოცებ. და თან წაიყვანა პეტრე, იაკობი და იოანე და დაიწყო ძრწოლა და ურვა და უთხრა მათ: მწუხა-  
რეა ჩემი სული სიკვ-  
დილამდე; გაჩერდით აქ  
და იფხიბლეთ. და წა-  
ვიდა ცოტა წინ და და-  
ვარდა მიწაზე და ლო-  
ცულობდა, რომ თუ შე-  
საძლებელი იყო, არიდე-  
ბოდა მას ეს უამი; და  
ამბობდა: აბბა მემათ,  
ყოველივე შესაძლებე-  
ლია შენთვის; ამარიდე  
ეს სასმისი მე; მაგრამ  
არა რაც მე მნებავს,





არამედ რაც – „შენ“. „და ეჩვენა მას ან-გელობი ზეციდან და აძლიერებდა მას“.

როცა უფალმა გე-  
თსიმანის ბაღში ლოც-  
ვა დაამთავრა, „მივი-  
ღა იუდა ისკარიოტე-  
ლი, ერთი თორმეტ-  
თაგანი, და მასთან ერ-

თად მრავალი ხალხი მახვილებითა და კეტებით  
მღვდელმთავრებისგან, მწიგნობრებისა და ერთს უხუ-  
ცესებისგან.“ „ხოლო მისმა გამცემმა მისცა მათ  
ნიშანი და უთხრა: ვისაც ვეამბორები, ის არის,  
შეიძყარით იგი. და მაშინვე მივიღა იესუსთან და  
უთხრა: გიხართდეს, რაბი. – და ეამბორა მას;  
ხოლო იესუმ უთხრა მას:  
მოყვასო, რისთვის მოხ-  
ვედი? მაშინ მივიდნენ და  
დაადეს ხელი იესუს და  
შეიძყრეს იგი“.

იესუ წაიყვანეს უტიების  
მღვდელმთავრებთან. პირ-  
ველად ქრისტე მღვდელ-  
მთავარ ანასთან მიიყვანეს,  
მეტე – კაიაფასთან; იქ მრა-  
ვალი ცრკვმთწმე იყო მისუ-  
ლი, მაგრამ იესუს ვერაფერი  
დაუმტკიცეს. მაშინ კაიაფა



მღვდელმთავარმა ჰკითხა  
მას: „გაფიცებ შენ ცოც-  
ხალ ღმერთს, რომ გვით-  
ხოა ჩვენ, შენ ხარ თუ  
არა ქრისტე, აე ღვთი-  
სა? უთხოა მას იესუმ:  
შენ თქვი. მაგრამ გეუბ-  
ნებით თქვენ: ამიერიდან  
იხილავთ ძეს კაცისას,  
მჯდომარეს ძალის მარ-  
ჯვნივ და მომავალს ცის  
ღრუბლებზე. მაშინ მღვ-  
დელმთავარმა შემთიხ-



ია თავისი სამთხი და თქვა: დაგმო, რაღად გვიხდა  
მოწმეები? აჲა, ახლა გაიგონეთ გმთბა მისგან. თქვენ  
რას ფიქრობთ? ხოლო მათ მიუგეს და უთხოეს:  
ღისიდა სიკვდილისა! მაშინ აფურთხებდნენ მას  
სახეში და მუშტებს ურტყამდნენ, ხოლო ზოგი  
ყვრიმალში სცემდა“. იესუ ითმენდა ყოველივეს და  
დუმდა.

პარასკევს, „როდესაც გათენდა, ბჭობა გამართა  
ყველა მღვდელმთავარმა და ერის უხუცესმა იესუს  
წინამდებარება, რათა მოკლათ იგი; და შეკრეს იგი,  
წაიყვანეს და გადასცეს პონტოელ პილატეს, მმარ-  
თველს“, რათა მას სასიკვდილო განაჩენი დაემტკი-  
ცებინა. პილატე დაინტერესდა – რაში დებდნენ იესუს  
ბრძალს. ჰურიების მღვდელმთავრებმა მიუგეს: ხალხს  
რყვნის, თავის თავს ქრისტეს და მეფეს უწოდებს და  
ხალხს კეისრისთვის ხარვის მიცემას უკრძალავთ.




პილატემ დაკითხა იესუ, მაგრამ დანამაული ვერ უპოვა და მისი გაშვება მთინდომა, მაგრამ ხალხი, მღვდელმთავრების წაქეზებით, მის სიკვდილს ითხოვდა და ყვიროდა: „ჯვარს ეცვას!“

სულმთკლე პილატემ, რთდესაც ნახა, „რომ ვერაფეს შველოდა, არამედ უფრო მატულობდა შფოთი, აიღო წყალი და დაიბახა ხელები ხალხის წინაშე და თქვა: უდანაშაულო ვარ ამ მართლის სისხლში, თქვენ ნახეთ. და მიუგო მთელმა ერმა და უთხრა: სისხლი მაგისი ჩვენზე და ჩვენს შვილებზე!“ მამინ პილატემ გადასცა იესუ, რათა ჯვარს ეცვათ იგი. ამის შემდეგ „მმართველის ჯარისკაცებმა წაიყვანეს იესუ პრეტორიუმში\* და შეკრიბეს მის წინააღმდეგ მთელი მხედრობა; და გახა-

---

\*პრეტორიუმი – ბერძ. მმართველის სასახლის დაცვის შენობა.

დეს მას და მეწამული ქლა  
მიდით\* შემთხვეს იგი. და და-  
წნეს გვირგვინი ეკლისგან  
და დაადგეს მას თავზე და  
ლეტწმი მისცეს მარჯვენა  
ხელში და მუხლი მთიყარეს  
მის წინაშე, დასცინოდნენ  
მას და ეუბნებოდნენ: გიხა



როდეს, მეფეთ იუდეველთა! და აფურთხებდნენ  
მას და აიღეს ლეტწმი და ურტყამდნენ მას თავ-  
ში. და როდესაც შეუჩაცხებულეს იგი, გახადეს მას  
ქლამიდი და შემთხვეს მისივე სამთხით და წაიყვ-  
ანეს იგი, რათა ჯვარს ეცვათ“.

„და იტვირთა თვითონ თავისი ჯვარი“. „და რო-  
გორც კი წაიყვანეს იგი, შეიძყრეს ვიღაც სიმონ



\* ქლამიდი – ებრ. „სამეფო წამთხსასხმელი, ფილთნის (სამდგედელო შესამთხი) მსგავსი, უსახელო“.



კვირინელი, მომავალი მინდვრიდან, „ „მამა ალე-  
ქსანდრესი და ტუფესი“ „და დაადეს მას ჯვარი,  
რომ წაეღო და გაჭყოლოდა იესუს უკან.“

და გავიდნენ „თხემის ადგილზე, რომელსაც  
ეწოდება ებრაულად გოლოგოთა, სადაც პეტრი  
აცვეს იგი, და მასთან ერთად სხვა თრია ([ავტბაკი](#),  
[ბორთუმებედი](#)), აქეთ და იქით, ხოლო შუაში –  
იესუს“.

„და გაიყვეს მისი სამოსი და იყარეს წილი,  
რათა აღსრულებულიყო თქმული წინასწარმეტყვე-  
ლის მიერ, რომელიც ამბობს: გაიყვეს სამოსი ჩემი  
ერთმანეთში და ჩემს კვართზე იყარეს წილი“.\*  
([ფსალმუნი 21, 19](#))

\* ესლესის წმიდა გადმოცემის თანახმად, შემდგომში, უფლის კვართი  
ჩვენთან, საქართველოში მთაბრძანეს და ამჟამადაც აქ იმყოფება.

## უფლის შვილი სიტყვა პეტრილაშვილი:

პირველი სიტყვა – ლოცვა პეტრილაშვილთავის

(მათე, XXVII, 39-43; მარკოზი, XV, 29-32;

ლუკა, XXIII, 34-35.)



ჯვარის წინ „იდგა ერთ და უყურებდა“. „ხოლო გამვლელები გმობდნენ მას, აქნევდნენ თავებს და ამბობდნენ:“ „ეპთ, რომელიც ანგოზუ ჭადარს და სამ დღეში აშენებ, იხსენი შენი თავი“. „თუ ძე ხარ ღვთისა, გადმოდი ჯვრიდან. ასევე მღვდელმთავრებიც დასცინოდნენ მწიგნობრებთან და უხუცესებთან და ფარისევლებთან ერთად და ამბობდნენ: სხვები იხსნა, თავისი თავის ხსნა კი არ ძალუს“; „იხსნას თავისი თავიც, თუ ეგ არის ქრისტე, რჩეული ღვთისა“. „ქრისტე, მეფე ისრაელისა!“ „თუ მეფეა ისრაელისა, გადმოვიდეს ახლა ჯვრიდან“ „რომ ვნახოთ“ „და ვიტწმუნებთ მას. თუ ღმერთს იყო მინდობილი, იხსნას ახლა იგი, თუ ნებავს იგი, რადგან თქვა: ღვთის ძე ვარ“. „და შეურაცხებოდნენ მას ჯარისკაცებიც და მიდიოდნენ და ძმარი მიჰქონდათ მისთვის და ეუბნებოდნენ: თუ შენ ხარ მეფე იუდეველთა, იხსენი შენი თავი“.

ნენ: სხვები იხსნა, თავისი თავის ხსნა კი არ ძალუს“; „იხსნას თავისი თავიც, თუ ეგ არის ქრისტე, რჩეული ღვთისა“. „ქრისტე, მეფე ისრაელისა!“ „თუ მეფეა ისრაელისა, გადმოვიდეს ახლა ჯვრიდან“ „რომ ვნახოთ“ „და ვიტწმუნებთ მას. თუ ღმერთს იყო მინდობილი, იხსნას ახლა იგი, თუ ნებავს იგი, რადგან თქვა: ღვთის ძე ვარ“. „და შეურაცხებოდნენ მას ჯარისკაცებიც და მიდიოდნენ და ძმარი მიჰქონდათ მისთვის და ეუბნებოდნენ: თუ შენ ხარ მეფე იუდეველთა, იხსენი შენი თავი“.



ხედავთა რა ყოველივე ამას და ესმთდა, უფალმა  
იესუს თქვა: „მამათ, მიუტევე მაგათ, რადგან არ  
იციან, რას აკეთებენ“.

**ეეობე სიტყვა – პეთილგონიერი ავაჩაპისათვის**  
(მათე, XXVII, 44; მარკოს, XV, 32;  
**ლუკა, XXIII, 39-43.)**

„ხოლო ერთი ჩამოკიდებული ბოროტმოქმედ-  
თაგანი გმობდა მას (*იესუს*) და ამბობდა: თუ შენ  
ხარ ქრისტე, იხსენი თავი შენი და ჩვენც. მიუგო  
მეორემ და გაკიცხა იგი და უთხრა: აღარც ლვთი-  
სა გეშინია შენ, რადგან იმავე სასჯელში ხარ;  
ჩვენ სამართლიანნად, ღირსი იმისა, რაც გავაკე-  
თეთ, მოგვეგება, ხოლო ამას უჯერთ არაფერი  
გაუკეთებია. და ეუბნებოდა იესუს: „**მომიგსენე**




მე, უფალთ, თდეს მოხვდე სუფევითა შენითა“. „ხოლო იესუმ უთხრა მას: ამინ გეუბნები შენ: დღეს ჩემთან იქნები სამოთხეში“.

### მისამა სიტყვაზ – ღვთისმომაგლისაღმი და იოანესაღმი

(ითანე, XIX, 25-27.)

„ხოლო იდგნენ იესუს ჯვართან მისი დედა და მისი დედის და, მარიამ კლეოპასი, და მარიამ მაგდალელი. და იესუმ, როცა დაინძხა თავისი დედა და მოწაფე [\(ითანე\)](#), რომელიც უყვარდა, წინ მდგომნი უთხრა თავის დედას: დედაკაცო, აპა, ძე შენი. შემდეგ უთხრა მოწაფეს: აპა, დედა შენი. და იმ დროიდან წაიყვანა იგი მოწაფემ თავისთან“.



**დაბნელება. მეოთხე სიტყვა –  
 უფალი მამა-ღმერთს ჰეჭლალებას  
 (მათე, XXVII, 45-47; მარკოზი, XV, 33-35;  
 ლუკა, XXIII, 44-45.)**

„და იყო დაანლოებით მეექვსე ჟამი“\*: „და როცა  
იყო ჟამი მეექვსე, დაბნელდა მთელ ქვეყანაზე  
მეცხრე ჟამაძღვე“. „და დაბნელდა მზე“.

„და მეცხრე ჟამზე შეღაღადა იესუმ დიდი ხმით  
და თქვა: „ელი, ელი!“ „ელი, ელი!“ ლამა  
საბაქთანი? რაც ითარგმნება: ღმერთთ ჩემთ, ღმე-  
რთთ ჩემთ, რად დამტოვე მე?“

„და ზოგიერთმა იქ მდგომად გაიგონა და ამბობ-  
და: „ჩპი, ელიას უხმობს“.

**გეხვევ სიტყვა – მწყური!**  
 (მათე, XXVII, 48; მარკოზი, XV, 36; იოანე, XIX, 28-29.)  
 „ამის შემდეგ იხილა იესუმ, რომ უკვე ყველა-

\* ჟამი – ღრმის მონაცემთ, რომელიც შეადგენდა დღის, ანუ გათენებიდან  
დაღიმებიდან ბერითდას, მეთობმეტედ ნიწილს.



ფერი აღსრულდა; და რათა აღსრულებულიყო  
წერილი, თქვა: მწყურია! იდგა ჭურჭელი ძმინთ  
სავსე; „და მძმინვე გაიქცა ერთი მათგანი“ (მე-  
დარი) „აავსთ ლრუბელი ძმინთ, დააგო ლერწამზე“ (უსუბზე) და მიუტანა მას პირთან „და ასმევდა მას“. „ხოლო დანარჩენები ამბობდნენ: „აკალეთ, ვნა-  
ხოთ, თუ მოვა ელია, რომ გადმოხსნას იგი,“ რომ  
დაიხსნას იგი.

**მემკვეთი სიჭყვა – ყლისალდა!**

(ითანე, XIX, 30.)

„და როცა მიიღო ძმარი იესუმ, თქვა: აღსრულდა!“

ეპველი სიტყვა – „მამა! გელთა შენთა შე-  
გვედრებ ცელსა ჩემსა“. და სიგვდილი.

(მათე, XXVII, 50; მარკოს, XV, 37;


ლუკა, XXIII, 46; ოთანე, XIX, 30.)



ბოლოს უფალმა იესუს „შეჭ-  
ყვირა (შეღალადა) დიდი ხმით  
და თქვა:“ „მამა! გელთა  
შენთა შევჭვედრებ სულსა  
ჩემსა“. „და ეს თქვა“ „და  
დახარა თავი“ „და განუტე-  
ვა სული“, შეჭვედრა ის მამა-  
ღმერთს.


იესუს სიკვდილის შემდგომ  
მზე დაბნელდა, მიწა იძრა,  
ტაძრის კრეტსაბმელი (ფარ-  
და) თრად გაიპო, კლდეები  
დასკდა, საფლავები გაიხსნა და მრავალი მკვდარი  
აღდგა.

ყოველივე ამის მნილ-  
ველი ჰურიები მკერდზე  
მჯიდის ცემით ბრუნ-  
დებოდნენ შინ; „ხოლო  
ასისთავი და ვინც მას-  
თან ერთად სდარავო-  
ბდა იესუს – როცა ნა-  
ხეს, რომ მიწა იძრა  
და რაც მოხდა – შე-  
შინდნენ ძლიერ და  
თქვეს: ჭეშმარიტად ძე-



ღვთისა იყო იგი“.

„ხოლო როდე-  
საც მოსალამოვდა,  
მოვიდა მდიდარი  
კაცი არიმათიი-  
დან, სახელად ით-  
სები, რომელიც  
თვითონაც დამო-  
წაფებთდა იესუს.  
იგი მივიდა პილა-



ტესთან და გამოითხოვა იესუს გვამი. მაშინ პი-  
ლატემ ბრძანა, მიეცათ. და აიღო გვამი იოსებმა  
და გაახვია იგი წმინდა სუდარაში და დადო იგი  
თავის ახალ საფლავში, რომელიც გამოეკვეთა  
კლდეში; და მიაგორა დიდი ლოდი საფლავის კარ-  
თან და წავიდა“. შაბათს „შეიკრიბნენ მღვდელ-  
მთავრები და ფარისევლები პილატესთან და ეუბ-  
ნებთნენ: ბატონო, გაგვახსენდა, რომ იმ მაც-  
დურმა თქვა, სანამ ცოცხალი იყო: სამი დღის  
შემდეგ აღვდგები, – ამიტომ ბრძანე, დაიცვან  
საფლავი მესამე დღემდე, რომ არ მივიდნენ მისი  
მოწაფეები დამით მის მოსაპარად და არ უთხრან  
ხალხს: აღდგა მკვდრეთით“. „უთხრა მათ პილატემ:  
გყავთ თქვენ მცველები; წადით და დაიცვით,  
როგორც იცით. ხოლო ისინი წავიდნენ და და-  
იცვეს საფლავი და დაბეჭდეს ლოდი მცველებთან  
ერთად“.



## 30. 01სე პრისტის აღდგომა

(მათე, XXVIII, 1-15; მარკოზი, XVI, 1-18;  
ლუკა, XXIV, 1-48; იოანე, XX, 1-31.)

წვიმა დედები სკოლავთან; მარიამ გაგდნელი;  
უფლის პირები გამოცხადება

(მათე, XXVIII, 2-4; იოანე, XX, 1-18)

**შაბათს, გვიან,** ჰთდესაც თენდებთდა ერთშაბათი,\*  
**„აპა, იყო დიდი მიწისძვრა,** რადგან უფლის ანგე-  
ლოზი გადმოვიდა ზეციდან, მივიდა და გადაკვა-

\* ერთშაბათი – ებრაული კალენდრის მიხედვით ასე ეწოდება შაბათის შემდგომ დღეს. ქრისტეანები მსა ვუწოდებთ კვირიაკეს – უფლის დღეს.





რა ლოდი საფლავის კარიდან და დაჯდა მასზე. და იყო მისი სახე როგორც ელვა, და მისი სამთხი თეთრი როგორც თოვლი. და მისი შიშით შეძრ-

წუნდნენ მცველები და გახდნენ როგორც მკვდრები“. – როდესაც მცველები გონის მოეგნენ, სასწრაფოდ მიმუშეს ქალაქს.

„ერთშემათს მივიდა მარიამ მაგდალელი საფლავზე განთიადისას, ჯერ კიდევ სიბნელე იყო, და დაინახა ლოდი, აღებული საფლავიდან“. იქვე მყოფმა ანგელოზმა არ გამოუჩინა მას თავისი სახე. ხოლო იგი „გაიქცა და მივიდა სიმონ-პეტრესთან და სხვა მოწაფესთან, რომელიც უყვარდა იესუს, და უთხრა მათ: აიღეს უფალი საფლავიდან და არ ვიცი, სად დადეს იგი.

გამოვიდა პეტრე, და სხვა მოწაფე (*ითანე*) და წავიდნენ საფლავზე; და მირბოდა ორივე ერთად; ხოლო სხვა მოწაფე პეტრეს სწრაფად გაიქცა წინ და პირველი მივიდა საფლავზე; და დაიხარია და დაინახა, რომ ჭილოები ეწყო, მაგრამ არ შევიდა. მივიდა სიმონ-პეტრეც, რომელიც მისდევდა მას, და შევიდა საფლავში და დაინახა, რომ ჭილოები ეწყო, და სუდარდა, რომელიც თავზე ჰქონდა მას (*იესუსი*), იდო არა ჭილოებთან, არამედ ცდლებს, შეკეცილი ერთ ადგილას. მაშინ შევიდა სხვა მოწაფეც, რომელიც პირველი მივიდა საფლა-





ვწე, და იხილა და იტწმუნა, რადგან ჯერ არ იცოდნენ წერილიდან, რომ იგი მკვდრეთით უნდა აღმდეგარიყო. და წავიდნენ კვლავ თავისთან მოწვევბი.

ხოლო მარიამი იდგა საფლავთან, გარეთ და ჭიროდა. და როგორ ჭიროდა, შეიხედა საფლავში და დაინახა თრი ანგელოზი, თეთრით შემთხვევი, რომლებიც ისხდნენ ერთი თავთან და ერთი ფეხებთან, სადაც ესვენა გვამი იესუსი, და უთხრეს მათ მას: დედაკაცო, რას სტირი? უთხრა მათ: აიღეს ჩემი უფალი და არ ვიცი, სად დადეს იგი.

როგორ ეს თქვა, მიძრუნდა უკან და დაინახა იესუს, რომელიც იდგა, და ვერ იცნო, რომ იესუს.

უთხრა მას იესუმ: დედაკაცთ, რას სტილი? ვის ეძებ? – მას (*მარიამს*) ეგონა, რომ მებალეა, და უთხრა მას: ბატონო, თუ შენ აიღე იგი, მითხარი, სად დადე, და მე წამოვიდებ მას. უთხრა მას იესუმ: მარიამ! მიბრუნდა იგი (*მარიამი*) და უთხრა მას ებრაულად: რაბბუნი! – რაც ნიშნავს: მოძღვარო – და გაიქცა, რომ შეხებთდა მას.

უთხრა მას იესუმ: ნუ შემეხები მე, რადგან ჯერ არ აესულვარ ჩემს მამასთან; წადი ჩემს ძმებთან და უთხარი მათ: ავდივარ ჩემს მამასთან და თქვენს მამასთან, ჩემს ღმერთთან და თქვენს ღმერთთან.

მივიდა მარიამ მაგდალელი და აუწყა მის მოწაფეებს, რომ იხილა უფალი და ეს უთხრა მას.

### წმიდა დედები საფლავოან; იოანნა და სევები; ანგელოზების გამოცხადება

(ლუკა, XXIV, 1-9.)

მაშინ, როდესაც მარიამ მაგდანელი მოციქულებთან წავიდა, საფლავთან, ასევე ძალიან ადრე, მოვიდნენ ითანა და სხვა დედები, რომლებსაც გამზადებული ჰქონდათ ნელსაცხებელი. და იპოვეს ლოდი გადაგორებული საფლავიდან და შევიდნენ და ვერ იპოვეს გვამი უფლისა იესუსი. და იყვნენ რა ისინი საგონებელში ამის გამო, აპა, ორი კაცი ზედ დადგა მათ ელვარე სამთხვეთ; ხოლო ისინი შემინებულნი იყვნენ და სახეები მიწისკენ დაეხარათ; და უთხრეს მათ: რად ეძებთ ცოცხალს მკვდრებთან? არ არის აქ, არამედ აღდგა. გაიხსენეთ, როგორ გეუბნებთდათ თქვენ, ვიდრე იყო



გალილეაში, და გითხრათ: მართებს ძეს კაცისას გადაცემა ცოდვილ კაცთა ხელში და ჯვარუმა და მესამე დღეს აღდგომა;

და გაახსენდათ მისი სიტყვები და დაბრუნდნენ საფლავიდან და აუწყეს ეს ყოველივე იმ თერთმეტს და ყველა დანარჩენს.

**წმიდა ღეღები საფლავთან: მარიამ იაკობისა და  
სალომა; უფლის მეორე გამოცხადება**

(მათე, XXVIII, 5-10; მარკოზი, XVI, 2-8)

„და ადრე განთიადისას, ერთმაბათს, მივიდნენ საფლავზე მზის ამთხველისას“ მარიამ იაკობისა და სალომე (და შესაძლოა სხვა ზოგიერთიც მათთან ერთად) „და ეუბნებოდნენ ერთმანეთს: ვინ გადაგვიგორებს ჩვენ ლოდს საფლავის კარიდან? და შეხედეს და დაინახეს, რომ გადაგორებული იყო ლოდი, რომელიც იყო ძალიან დიდი.“

როდესაც მიუახლოვდნენ უფლის საფლავს, დაინახეს

გადაგთხებულ ლთდზე ჩამომჯდარი ანგელთზი და შეკრთნენ. „მიუგთ ანგელთბა და უთხრა დედაკაცებს: ნუ გეშინიათ თქვენ, რადგან ვიცი, რომ იესუს, ჯვარცმულს, ეძებთ. არ არის აქ, რადგან აღდგა, როგორც თქვა. მთდით და იხილეთ ადგილი, სადაც ესვენა უფალი; და სწრაფად წადით და უთხარით მის მოწაფეებს, რომ აღდგა მკვდრეთით, და აპა, წინ გიძლვით თქვენ გალილეაში; იქ იხილავთ მას; აპა, გითხარით თქვენ.“

„და შევიძნენ რა საფლავში, იხილეს ჭაბუკი, მჯდომარე მარჯვნივ, შემთხვილი თეთრი სამოსლით, და გაოცდნენ. ხოლო მან ([ანგელთბა](#)) უთხრა მათ: ნუ გაოცდებით; იესუს ეძებთ, ნაჩარეველს, ჯვარცმულს? აღდგა, არ არის აქ; აპა, ადგილი, სადაც დადეს იგი. არამედ წადით, უთხარით მის მოწაფეებს და პეტრეს, რომ წინ გიძლვით თქვენ გალილეაში; იქ იხილავთ მას, როგორც გითხრათ თქვენ.“

„და გამოვიდნენ სწრაფად საფლავიდან შიშით და დიდი სიხარულით და მირბოდნენ, რომ ეუწყებინათ მისი მოწაფეებისთვის“. ლთდზე მჯდომი ანგელთზი მათ უკვე ვერარ დაინახეს, მღელვარების გამო. „ისინი კანკალებდნენ და გაოგნებულნი იყვნენ და არავის არაფერი უთხრეს ([გრაში](#)), რადგან ეშინოდათ.“

„და როდესაც მიდიოდნენ, რომ ეუწყებინათ მისი მოწაფეებისთვის, აპა, იესუ შეხვდა მათ და უთხრა: გიხართდეთ! ხოლო ისინი მივიდნენ და მოეხვივნენ ფეხებზე და თაყვანი სცეს მას. მაშინ



უთხრდ მათ იესუმ: ნუ გეშინიათ, წადით და აუწყეთ ჩემს ძმებს, რომ წავიდნენ გალილეაში. და იქ მიხილავენ მე.“

მოციქულება არ იპოვებას დედობის ნათევაში;  
უფალი კეტეს გამოეცხად (მასამა გამოცხადება)  
(ლუკა, XXIV, 9-12; მარკოს, XVI, 10-11;  
ლუკა, XXIV, 34; 1 კორ. XV, 5.)

„და დაბრუნდნენ საფლავიდან და აუწყეს ეს ყოველივე (რაც იხილეს და მთისმინეს) იმ თერთმეტს (მოციქულებს) და ყველა დანარჩენს. და იყვნენ მაგდალელი მარიამი და იოანე და მარიამ იაკობისა და დანარჩენები მათთან ერთად, რომლებიც უუბნებოდნენ მოციქულებს ამას.

და გამოჩნდა მათი სიტყვები მათ (მოციქულთა) წინაშე, როგორც სისულელე, და არ იჩრმუნეს მათი.“

მარიამ მაგდანელი „წავიდა და აუწყდა მათ, ვინც



მომხდარით.“

ამის შემდეგ ეჩვენა პეფას, იგივე სიმთნ-პეტრეს.

**თუდეველების მცდელობა, რომ დაემალა  
ყლდგომის ჰეჟარისაგა (მათე XXVIII, 11-15.)**

„როდესაც ისინი (ლელები) წავიდნენ“ მოციქულებთან უფლის აღდევთობის საუწყებლად, „ჩპა, ზოგიერთი მის მცველთაგან შევიდა ქალაქში და აუწყა მღვდელმთავრებს ყოველივე, რაც მოხდა; ხოლო ისინი შეიკიბნენ უხუცესებთან ერთად და ბჭობა გაძართეს და დიდმალი ვერცხლი მისცეს ჯარისკცებს და უთხრეს: თქვით, რომ მისი მოწაფეები ღამე მოვიდნენ და მოიპარეს იგი (იესუს გვამი), ვიდრე ჩვენ გვეძინა; და თუ გაიგო ეს მმართ-

უფალთან იყო, რომ-ლებიც გლოვთბდნენ და ტიროდნენ; და მათ გაიგეს რა, რომ ცოცხალია და ეჩვენა მას, არ იტწმუნეს.“

არც მარიამ იაკობი-სისა და სალომეს სი-ტყვები იტწმუნეს.

„ხოლო პეტრე აღგა და გაიქვა საფლავზე და შეიხედა და დაინახა მხოლოდ ჭილოები და წავიდა თავის-თან, გაკვირვებული

ველმა, ჩვენ დავარწმუნებთ მას და თქვენ სახრუნავი არ გექნებათ; ხოლო მათ აიღეს ვერცხლი და მოქალაქენ ისე, როგორც იყვნენ დარიგებულნი. და გვირცელდა ეს სიტყვა პურიათა შორის დღე-ვანდელ დღემდე“.

## უფალი გამოცხადა მოწაფეებს ეპარქია

(გეოთხე გამოცხადება)

(ლუკა, XXIV, 13-35.)

„ორი მათგანი (*მოწაფე*) მიდიოდა იმავე დღეს (*ერთშაბათს*) დაბაში, რომელიც დაშორებულია იეჲსალიმიდან სამოც უტევანზე\* და რომლის სახელია ემათსი; და ესენი საუბრობდნენ ერთ-მანეთთან იმ ყველაფერზე, რაც მოხდა. და იყო, მათი საუბრისას და ძიებისას თვით იესუ მიუახლოვდა და მიდიოდა მათთან ერთად; ხოლო მათ თვალები აებათ, რომ ვერ ეცნოთ იგი. და უთხრა მათ: რას ნიშნავს ეს სიტყვები, რაჩეც ერთმანეთთან საუბრობთ სიარულისას და ხართ მწუხარენი? და მიუგო ერთმა მათგანმა, სახელმდ კლეოპატ და უთხრა მას: იეჲსალიმში მარტო შენ ხარ მწირი, რომელმაც არ იცი, რა მოხდა იქ ამ დღეებში? და უთხრა მათ: რა? ხოლო მათ უთხრეს მას: იესუ ნაშარეველის შესახებ, რომელიც იყო კაცი წინასწარმეტყველი, ძლიერი საქმითა და სიტყვით ღვთისა და მთელი ერის წინაშე, როგორ გადასცეს იგი მღვდელმთვრებმა და ჩვენმა მთავრებმა რომ დაესაჯათ სიკვდილით, და ჯვარს აცვეს იგი, ხოლო

\* უტევანი, სტადიონი – 180 მეტრი

ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ის ატის, ვისაც უნდა  
ენსნა ისტაცია, და ამ ყველაფერთან ერთად, ეს  
მესამე დღეა, რაც ეს მოხდა, მაგრამ ზოგიერთმდ  
დედაკაცმა, ჩვენგანმა, გაგვათვება ჩვენ, როცა მივიდ-  
ნენ დილაპროცესის საფლავზე და ვერ იპოვეს მისი  
გვამი, მოვიდნენ და თქვეს, რომ იხილეს ჩვენება  
ანგელოზთა, რომლებმაც უთხრეს: უთურებალია იგი  
[\(უფალი\)](#). და მივიდა ზოგიერთი ჩვენგანი საფლავზე  
და ნახა ისე, როგორც დედაკაცებმა თქვეს, ხოლო  
იგი [\(უფალი\)](#) ვერ იხილეს.

და მან უთხრა მათ: ო, უგუნურნო და გულით  
მძიმენო, რომ გერჩმუნათ ყველაფერი, რასაც ამ-  
ბობდნენ წინასწარმეტყველნი, განა ასე არ უნდა  
ვნებულიყო ქრისტე და შესულიყო თავის დიდე-  
ბაში? და დაიწყო მოსედან და წინასწარმეტყველ-  
თავან და განუმარტავდა მათ ყველაფერს, დაწ-  
ერილს, თავის შესახებ.

და მიუახლოვდნენ დაბას, სადაც მიდიოდნენ,  
და მან მთიმისება, რომ უფრთ შორს უნდა წასუ-  
ლიყო. და აიძულებდნენ მას და ეუბნებოდნენ:  
დარჩი ჩვენთან, რადგან შემწუხრდა და მიწუ-  
რულია დღე. და შევიდა მათთან დასარჩენად. და  
იყო, ინახით იჯდა რა იგი მათთან, აიღო პური,  
აკურთხა და გატეხა და აძლევდა მათ; ხოლო მათ  
აეხილათ თვალები და იცნეს იგი. და იგი უჩინარი  
გახდა მათთვის; ხოლო ისინი ეუბნებოდნენ ერთ-  
მანეთს: განა ჩვენი გული ანთებული არ იყო,  
როცა გვეუბნებოდა ჩვენ ჭამი, როცა გვიხსნიდა  
ჩვენ წერილს? და ადგნენ იმავე უამს და დაბ-



ჰუნდნენ იერუსალიმში და ნახეს შეკრებილნი – თერთმეტნი და ვინც მათთან იყვნენ, რომლებიც ამბობდნენ: ჭეშმარიტად აღდგა უფალი და ეჩვენა სიმონს (*ბუტკეს*).

და ისინი უამბობდნენ, რაც გზაში მოხდა, და

როგორ გამოეცხადა იგი მათ პურის გატეხისას“.

„უფალი გამოცხადა ყველა ეოციეულს,  
ორმას გარდა, იმავე ღლის სალაშოს  
(მახუთი გამოცხადება)

(ლუკა, XXIV, 36-48; ოთანე XX, 19-23.)

„და როგორ მოსალამოვდა იმ ერთშებათ დღეს და როგორ ისინი (ემათსელი მოწაფეები) ამას ამბობდნენ, და კარები დაკეტილი იყო, სადაც იყვნენ მოწაფეები შეკრებილი იუდეველთა შიშის გამო, მივიდა იესუ და დადგა მათ შორის და უთხრა მათ: მშეიდობა თქვენიდა. ხოლო ისინი შეძრწუნდნენ და შეეშინდათ, ეგონათ, რომ სული იხილეს; ხოლო მან (უფალმა) უთხრა მათ: რად ხართ შეძრწუნებულნი და რაჭომ აღიძგრებიან გულის-სიტყვები თქვენს გულში? ნახეთ ჩემი ხელები და ფეხები, რადგან თავად მე ვარ; ხელი შემახეთ მე და ნახეთ, რადგან სულს ხორცი და ძვალი არა აქვს, ხოლო ხედავთ, რომ მე მაქვს. და ეს თქვა და უჩვენდ მათ ხელები და ფეხები. და გაიხარეს მოწაფეებმა, იხილეს რა უფალი.

და როგორ კიდევ ვერ იძრწმუნეს მათ სიხარული-საგან და უკვირდათ, უთხრა მათ იესუმ: გაქვთ რამე საჭმელი აქ? ხოლო მათ მისცეს მას შემწ-ვარი თევზის ნაჭერი და თაფლიანი ფიჭა. და ჭამდ მათ წინამე.

და უთხრა: ეს არის სიტყვები, რომლებსაც გუ-უბნებოდით თქვენ, ვიდრე ვიყავი თქვენთან: უნდა აღსრულდეს ყოველივე, რაც დაწერილია მთსეს



სჯულში და წინასწარმეტყველებებში და ფსალტუნებში ჩემ შესახებ. მაშინ გაუხსნა მათ გონება, რომ გაეგოთ წეტილი, და უთხრა მათ: ასე უნდა ვნებულიყო ქრისტე და აღმდგარიყო მკვდრეთით მესამე დღეს და ქადაგებულიყო მისი სახელით სინანული და ცოდვათა მიტევება ყველა წარმართისათვის. დაიწყეთ იერუსალიმიდან, რადგან თქვენ ხართ მოწმე ამისი.


და უთხრა მათ იესუმ კვლავ: მშვიდობა თქვენდა; როგორც მომავლინა მე მამამ, მეც გგზავნით თქვენ. და როცა ეს თქვა, შეჰერა მათ და უთხრა: მიიღეთ სულიიშიდა; ვისაც მიუტევებთ ცოდვებს, მიეტევებათ მათ და ვისაც შეკრავთ, შეკრულები იქნებიან“.

უფალი გამოცხადა შველას, მათ უობის  
თომასაც (მემკვიდრე გამოცხადება)

(ითანე გვ. 24-29.)

„ხოლო თომა, ერთი თორმეტთაგანი, რომელ-  
საც ერქვა ტყუპისცალი, არ იყო მათთან, როცა  
მივიდა იესუ. ეუბნებთდნენ მას სხვა მოწაფეები:  
ვიხილეთ ჩვენ უფალი. ხოლო მას უთხრა მათ:  
თუ არ ვიხილავ მის ხელებზე სამსჭვალთა კვალს  
და არ დავადებ ჩემს თითს სამსჭვალთა ადგილს,  
და არ დავადებ ჩემს ხელს მის გვერდს, არ ვიღწ-  
მუნებ.

და რვა დღის შემდეგ კვლავ იყვნენ მისი  
(ქრისტე) მოწაფეები შინ და თომაც – მათთან  
ერთად. და მოვიდა იესუ, როცა კარები დაკეტილი



იყო, და დადგა შუაში და უთხრა: მშვიდობა თქვენდა. შემდეგ უთხრა თომას: გამოიწოდე შენი თითო აქ და იხილე ჩემი ხელები; და გამოიწოდე შენი ხელი და დაადე ჩემს გვერდს; და ნუ იქნები ურწმუნო, არამედ იყავი მთრწმუნე. მიუგო თომამ და უთხრა მას: უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი. უთხრა მას იესუმ: რადგან მიხილე, ირწმუნე; ნეფალნი არიან, რომელთაც არ იხილეს და ირწმუნეს“.

**უფლის გამოცხადება ჭიბერის ზღვაში  
(მეშვიდე გამოცხადება)  
(ითანე, XXI, 1-6.)**

„ამის შემდეგ კვლავ გამოუცხადა თავისი თავი იესუმ მოწაფეებს ტაბერის ზღვაზე; და გამოუცხადა ასე: იყვნენ ერთად სიმონ-პეტრე და თომა, რომელსაც ერქვა ტყუბისცალი, და ნათანაელი, რომელიც იყო გალილეის კანიდან, და ზებედეს ძეები და მის სხვა მოწაფეთაგან თრით. უთხრა მათ სიმონ-პეტრემ: მივდივარ სათევზაოდ. უთხრეს მას: მოვდივართ ჩვენც შენთან ერთად. გავიდნენ და ავიდნენ ნავჭე და იმ ღამეს ვერაფერი დაიკირეს.

და როცა გათენდა, იდგა იესუ ნაპირზე და არ იცოდნენ მოწაფეებმა, რომ იესუა. უთხრა მათ იესუმ: ყრმებთ, არა გაქვთ რამე საჭმელი? მიუგეს მას: არა. ხოლო მან უთხრა მათ: ისროლეთ ბადე ნავის მარჯვენა მხარეს და იპოვით.“



## სასწოულები 080 თემზების

(თანა, XXI, 6:4.)

„და ის კოლეს (პატე) და ვეღარ შეძლეს მოხიდვა თევზის სიმრავლის გამო. უთხრა იმ მოწაფემ, რომელიც უყვარდა იესუს, პეტრეს: უფალია; ხოლო სიმონ-პეტრემ, როცა გაიგონა, რომ უფალია, შემოისარტყელა სამთსი, რადგან შიშველი იყო, და

გადაეშვა ზღვაში; ხოლო სხვა მოწაფეები ნავით მივიღნენ, რადგან არ იყვნენ შობს ხმელეთიდან, არამედ დაახლოებით ორას წყრითაჩე\*, და გამოა-თრიეს ბადე თევზით.

და როგორც კი გადმოვიდნენ მიწაზე, დაინახეს გმ-ლილი ნაკვერჩხალი და ზედ დადებული თევზი და პური. უთხრა მათ იესუმ: მოიტანეთ იმ თევზებიდან, ახლა რომ დაიჭირეთ. ავიდა სიმთხ-პეტრე და ამთ-ათობ ბადე მიწაზე, სავსე დიდი თევზებით, ას თო-მოცდაცამეტი იყო; ამდენი იყო და არ გასკრდა ბადე.

უთხრა მათ იესუმ: მოდით, ისადილეთ. და ვერ-ავინ გაბედა მოწაფეთაგან ეკითხა მისთვის: შენ ვინ ხარ? იცოდნენ, რომ უფალია. მივიდა იესუ და აიღო პური და მისცა მათ, და თევზიც ასევე. ეს უკვე მესამედ გამოეცხა იესუ მოწაფეებს (ერ-თად შეკრებილთ), რაც აღდგა მკვდრეთით.

### ეეშვილე გამოცხადება: საუბანი თევზის ჰერისას

(ითანე, XXI, 15-24.)

და როგორ ისადილეს, უთხრა სიმთხ-პეტრეს იესუმ: სიმთხ ითნასთ, გიყვარვარ მე ამათზე მეტად? უთხრა მას პეტრემ: ჰო, უფალო, შენ იცი, რომ მიყვარხ-არ შენ. უთხრა მას იესუმ: აძლვე ჩემი კრიზები.

უთხრა მას კვლავ მეორედ: სიმთხ ითნასთ, გიყ-ვარვარ მე? უთხრა მას პეტრემ: ჰო, უფალო, შენ იცი, რომ მიყვარხარ შენ. უთხრა მას იესუმ:

\* წყრითა — დაახლოებით 48 სანტიმეტრი.

დამწყემსე ჩემი ცხვრები.

უთხრა მას მესამედ იესუმ: სიძონ ითხასთ, გიყვარებარ მე? შეწუხდა პეტრე, რადგან უთხრა მას მესამედ: გიყვარებარ მე? – და უთხრა მას: უფალო, შენ ყოველივე უწყი, შენ იცი, რომ მიყვარებარ შენ. უთხრა მას იესუმ: დამწყემსე ჩემი ცხვრები.

ამინ, ამინ გეუბნები შენ: როცა იყავი ჭაბუკი თვითონ შემთისარტყყლავდი თავს და დადიოდი, სადაც გინდოდა, ხოლო როცა დაბერდები, გაშლი შენს ხელებს და სხვა შემთხვარტყყლავს შენ და წაგიყვანს, სადაც არ გინდა. და ეს თქვა და მიანიშნებდა, როგორი სიკვდილით განადიდებდა ღმერთს. და როცა ეს თქვა, უთხრა მას: გამომყევი მე.

მობრუნდა პეტრე და დაინახა, რომ მისდევდა მას მოწაფე, რომელიც უყვარდა იესუს და რომელიც მიეყრდნო სერბისას მის მკერდს და უთხრა მას: უფალო, ვინ არის, ვინც გაგცემს შენ? ეს რომ დაინახა პეტრემ, უთხრა იესუს: უფალო, ეს რა?

უთხრა მას იესუმ: თუ მინდა, რომ იყოს იგი, ვიდრე მოვალ, შენ რა? შენ მე გამომყევი. და გავრცელდა ეს სიტყვა მმთად შორის, რომ ის მოწაფე ([თანხე](#)) არ მოკვდებოდა; და არ უთქვამს მისთვის იესუს: არ მოკვდება, – არამედ: თუ მინდა, რომ იყოს იგი, ვიდრე მოვალ, შენ რა?

ეს არის მოწაფე, რომელიც მოწმობს ამნეჟ და რომელმაც დაწერა ეს, და ვიცით, რომ ჭეშმარიტია მისი მოწმობა.

**უფალი მთავე გამოცხად 500-ე მეტ ამას  
(მერჩე გამოცხადება)**

**(1 კორ. XV, 6; ლუკა, XXIV, 9-12; მარქოზი, XVI, 10-11;  
ლუკა, XXIV, 34; იოანე, XXI, 15-24.)**

„და მერჩე ეჩუენა უმრავლეს ხუთასისა მმათა  
ერთგზის, რომელთაგნი უმრავლესი ცოცხალ არიან  
აქამომდე (იჯულისხმება დრო, როგორ წმიდა პავლე მო-  
ციქული ამ ეპისტოლეს\* წერდა) და რომელთამე შეი-  
სუენეს.“

მათ შორის იყო მისი თეოდორეტი მოწაფე. ეს იყო  
გალილეაში, იმ მთაზე, სადაც უბრძანა მათ წასვლა  
უფალმა და სადაც ისინი წავიდნენ იეჰუსალიმიდან.

ინილეს რა გამოცხადებული უფალი, მათ თაყვანი სცეს  
მას, ხოლო ზოგი (რა თქმა უნდა 500-დან) დაეჭვდა.

და მივიდა მათთან იესუ, ეუბნებოდა მათ და  
უთხრა: „მომეცა მე მთელი ხელმწიფება ცაში და  
ქვეყანაზე;“

ვინც იტრმუნებს და ნათელს იღებს, ცხონდება,  
ხოლო ვინც არ იტრმუნებს, დაისჯება.

და ვინც იტრმუნა, მათ თან სდევთ სასწაულები:  
ჩემი სახელით ეშმაკებს განდევნიან, ახალ ენებზე  
ამეტყველდებიან, გველებს აიყვანენ და თუ სას-  
იკვდილო რამეს დალევენ, არ ავნებს მათ; სხეულებს  
ხელს დაადებენ და განიკურნებიან.“

**უფალი გამოცხად იაპოზულს  
(მეცხევ გამოცხადება) (1 კორ. XV, 7.)**

**„მერე (უფალი) ეჩვენა იაკობს“.**

\* ეპისტოლე – წიგნი, წერილი.

## 31. უფლის ამაღლება (უფლის მართვა გამოცხადება)

(საქმე მოციქულთა, I, 1-14; მთე, XXVIII, 19, 20;  
მარკთი, XVI, 19, 20; ლუკა, XXIV, 49-53.)

თომთვი დღის განმავლობაში – აღდგომის დღიდან  
ამაღლების დღემდე – ეჩუენებთდა უფალი მოციქუ-  
ლებს, რომლებსაც, მრავალი სატწმუნო ნიშნით,  
ცოცხლად წარუდგა თავისი ვნების შემდეგ და ღმრ-  
თის სასუფევლისათვის ესაუბრებთდა და აძლევდა  
მათ, მის გარშემო, მითითებებს სულით წმიდათ.

და შეკრიბა ისინი და უბრძანა: ნუ განშორ-  
დებით იერუსალიმს, არამედ მოელოდეთ აღთქმას  
მამისას რომელიც ისმინეთ ჩემგან. და, აპა, მე მო-  
ვავლენ აღთქმას ჩემი მამისას თქვენზე, ხოლო თქვენ  
დასხედით ქალაქ იერუსალიმში, ვიდრე არ შეიმო-  
სებით მაღლიდან ძალით. რადგანაც იოანე ნათელს  
სცემდა წყლით, ხოლო თქვენ ნათელს იღებთ სუ-  
ლით წმიდათ, არცთუ მრავალი დღის შემდეგ.

შეკრებილნი კი ეკითხებოდნენ მას და ამბობ-  
დნენ: უფალო, ნუთუ ამ დროს აღუდგენ სამეფოს  
ისრაელს? და უთხრა მათ: არ არის თქვენი საქმე  
დღეთა და წელთა ცოდნა, რომლებიც დაადგინდ  
მამამ თავისი ძალმოსილებით. ხოლო თქვენ მი-  
იღებთ ძალას, როგორ სული წმიდა გადმოვა თქვენ-  
ზე, და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმში, მთელს  
იუდეასა და სამარეაში, მიწის კიდემდე.

წარით და დაიმოწაფეთ ყველა წარმართი და  
ნათელი ეცით მათ მამისა და ძისა და სულიწმი-  
დის სახელით; და ასწავლეთ მათ, დაიცვან ყოვე-



ლივე, რაც გამცნეთ თქვენ.

და აჰა, მე თქვენთან ვარ ყოველდღე, საუკუნე-  
თა დასასრულამდე. ამინ.

თავის მოწაფეებთან ასეთი საუბრის შემდეგ, უფალ-  
მა ქალაქიდან გაიყვანა ისინი ბეთანიამდე და აღაბყ-  
რო ხელები და აკურთხა ისინი. და იყო, როცა იგი  
აკურთხებდა მათ, გაშორდა მათ და ადითდა ზე-  
ცაში. უფალი მათ თვალწინ ამაღლდა, და ლრუბელ-  
მა აიჭაცა იგი მათ თვალთაგან.

და ვიდრე ისინი ცას შეჰყურებდნენ, მისი ამაღ-  
ლებისას, აჰა, წარუდგა მათ ორი კაცი, თეთრი

სამთხით, რომლებმაც უთხრეს მათ: კაცნო გალილეველნო, რას დამდგარხართ და შეპყურებით ცას? ეს იქსუ, რომელიც თქვენგან ამაღლდა ზეცად, ისევე მოვა, როგორც ზეცად ამავალი იხილეთ იგი.

მაშინ მათ თაყვანი სცეს მას და მიბრუნდნენ იერუსალიმში დიდი სიხარულით. და შინ შესულნი, ავიდნენ ზემთ სენაკში, სადაც იყვნენ პეტრე და იაკობი, იოანე და ანდრია, ფილიპე და თომა, ბართლომე და მათე, იაკობ ალფესი, სიმონ მომურნე და იუდა იაკობისა.

ყველა ესენი გამუდმებით ლოცულობდნენ ერთსულოვნად, ქალებთან და მარიამთან, უფალ იესუს დედასა და მის ძმებთან ერთად. და იყვნენ მუდამ ტაძრში, აქებდნენ და აკურთხებდნენ ღმერთს.

ამრიგად, უფალი, ამაღლდა ზეცად და დაჯდა ლფოს მარჯვნივ. ხოლო მოციქულნი, სული წმიდის გადმოსვლის შემდეგ, წავიდნენ და ქადაგებდნენ ყველგან უფლის შეწევნით და სიჭყვას ამტკიცებდნენ სასწაულებით, რომლებიც თან სდევდა მას.


უფლის ამაღლებას ეკლესია  
დღესასწაულობს აღდგომიდან მეთომოცე დღეს.

## 32. სულიწმიდის გარდამოსვლა მოციქულების (საქმე მოციქულთა, II თავი)

იქსუ ქრისტეს აღდგომიდან თრიმოცდამეათე დღეს, მოციქულები იერუსალიმში იყვნენ შეკრებილნი სხვა მორწმუნებთან ერთად, ერთ სახლში. ისინი უფლის აღთქმისამებრ, სულიწმიდის გარდამოსვლას მოელოდნენ და ლოცულობდნენ. დღის მესამე უამზე ახახდად



იღრგვინა ზეცით, თითქოს გრიგოლი აგუგუნდათ, და აავსო მთელი სახლი, სადაც ისინი იყვნენ. და მთევლინა მათ ალივით გაყოფილი ენები, რომლებიც დაეფინა თითოეულ მათგანს. და ალივსნენ ყველანი სულით წმიდით, და სხვადასხვა ენებზე ალაპარაკდნენ, როგორც სული ამეტყველებდა მათ. ხოლო იერუსალემში იყვნენ იუდეველნი, ღვთის-მოსახი კაცნი ყველა ხალხისაგან, რომლებიც არიან ცის ქვეშ. და როცა გაისმა ეს ხმა, შემოკბა მთელი ხალხი და შეძრწუნდა; ვინაიდან თითოეული ისმენდა, როგორ მეტყველებდნენ მის საკუთარ ენაზე ისინი. უკვირდა ყველას და განცვიფრებულნი ეუბნებოდნენ ერთმნეთს: განა ყველა ესენი, ვინც ლაპარაკობენ, გალილეელნი არ არიან? როგორდა ვისმენთ სათითაოდ ჩვენს საკუთარ ენას, რომელშიაც დავიბადეთ? ყველანი ვისმენთ, როგორ ლალადებენ ისინი ჩვენი ენით ღმრთის სიდიადეს.



და უკვირდა ყველას და გაოგნებულნი ეუბნებთდნენ ერთმანეთს: რას მთასწავებს ეს?

მაშინ პეტრე მოციქული დადგა თერთმეტთან ერთად და დაიწყო ქადაგება და განუმარტა ხალხს, რომ ქრისტე, პურიათაგან ჯვარცმული, აღდგა მკვდრეთით, ამაღლდა ზეცად და მოუყლინა მათ სული წმიდა, და რომ ქრისტე არის ძე ღვთისა, მხსნელი სოფლისა.

ეს რომ გაიგონეს, გულის სიღრმემდე შეიძლენ და, პეტრესა და დანარჩენ მოციქულებს უთხრეს: რა ვქნათ, კაცნო, ძმანო? ხოლო პეტრემ უთხრა მათ: მთანანიერ, და თითოეულმა თქვენგანმა ნათელ იღოს უფლის იესუ ქრისტეს სახელით ცოდვათა მთსატევებლად, და მიიღებთ სულის წმიდის საბორვარს. ვინაიდან თქვენია აღთქმა და თქვენი შეიღების და ყველა შორებლისა, ვისაც მოუწოდებს უფალი ღმერთი ჩვენი.

და მრავალი სხვა სიტყვითაც მოწმობდა, შეაგონებდა მათ და ამბობდა: იხსენით თავი ამ უკეთური მოდგმისგან. და ვინც სიხარულით შეიწყნარ მისი სიტყვა, ნათელ იღო, და შეემატათ იმ დღეს სამიათასამდე სული ([დღამიანი](#)). და იყვნენ ერთთავად მოციქულთა სწავლასა და ზიარებაში, პურის გატეხასა და ლოცვაში. და იყო შეში თითოეულ სულში, და მრავალი ნიშნები და სასწაულე-


ბი იქმთდა მოციქულთა მიერ. ხოლო ყველა მთრწმუნე ერთად იყო, და ყველაფერი საერთო პქრნდთ. და პყიდვების მთხაგებს და ადგილ-მამულებს, და უნაზილებდნენ თითოეულს, ვისაც რა სჭირდებთდა. ყოველდღე ერთსულოვნებდ იყვნენ ტაძარში, ტეხდნენ სახლებში პურს, და სიხარულით და გულის უბრალოებით იღებდნენ საზრდოს. ღმრთის მაქებარნი და მთელი ხალხის მიერ მადლით მთსილნი.

**ხოლო უფალი დღითი-დღე ჰმატებდა დახსნილთ ეკლესიას.**

ამგვარად დაიწყო ღვთის სასულეველმა, ანუ ქრისტეს წმიდა ეკლესიაში დაფუძნება.

სულიწმიდის გადმოსვლის შემდეგ, მოციქულებმა დაიწყეს ქადაგება სხვადასხვა ქვეყნაში და მთრწმუნეთა რიცხვი სულ უფრთ და უფრთ იჩტდებთდა. ამიტომ მოციქულებმა საღვთო ხელთდასხმით დააყენეს ეპისკოპოსები, მღვდლები და დიაკონები, რათა მათ ექადაგათ ქრისტიანული სწავლება და შესრულებინათ ეკლესის წმიდა საიდუმლოებები.

**სულიწმიდის გადმოსვლას ეკლესია  
დღესასწაულთბს აღდგომიდან  
თრმთცდამეათე დღეს.**





### 33. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინება


ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ, ითანე მთვაიქულმა თავის სახლში მიიღო ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, სადაც მან სიცოკნლის ბთლომდე იცნოვოდა. მიცვალებამდე სამი დღით ადრე, მთავარანგელოზმა გაბრიელმა აუწყა მას გარდაცვალების დრო. ღმრთისმშობელმა მთავრული სიკვდილის წინ ენახა მთვაიქულები, რომლებიც იმ დროს სხვადასხვა ქვეყნაში იყვნენ და ქრისტეს სწავლებას ქადაგებდნენ. ისინი, თომას გარდა, ღვთის განგებით, იერუსალიმში შეიკრიბნენ. ღვთისმშობლის მიძინების დროს, მთვაიქულებმა დაინახეს, რომ გამცხადდა თვით უფალი იესუ ქრისტე, ანგელოზებით გარემოცული, და მიიღო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სული და აამდილა იფი ზეპად, ხოლო მისი სხეული, ანთებული ლაპტებითა და ფსალმუნთა გალობით, მთვაიქულებმა გეთსიმანიაში მიასვენეს და მღვიმეში დაკალეს. მესამე დღეს, თომაც მთვიდა იერუსალიმში. მისი თხოვნით, გახსნეს ღვთისმშობლის საფლავი, მაგრამ მისი სხეული იქ ვერ იძოვეს.

მთციქულები განცვიფრდნენ. მაშინ დედა ღვთისა, ზეციური ბრწყინვალებითა და ანგელოზთა კრებულით გამოეცხადა მთციქულებს და უთხრა: „გიხართდენ! მე თქვენ თანა ვარ ყოველთა დღეთა; და მარადის ვიქნები მეთხი (მლოცველი) თქვენი წინაშე ღვთისა“.

ღმრთისმშობლის გარდაცვალებას, ანუ მიძინებას, ეკლესია დღესასწაულთბს 15 აგვისტოს – საეკლესით კალენდრით (28 აგვისტოს – საერთო).

### 34. უფლის ცხოველსეყოფელი პვანის პოვნა

თავდაპირველად ქრისტიანთას ბევრი მჭერი გამოუჩნდა: ურიები და წარმართები (კერპთაყვანისმცემლები) დევნიდნენ ქრისტეანებს, აპატიმრებდნენ, აწამებდნენ, ხოცავდნენ, მაგრამ ქრისტეს სწავლება სულ უფრთ და უფრთ ვრცელდებოდა. ბოლოს, ქრისტეს შობიდან 313 წელს, თვით რომის იმპერიატორმა კონსტანტინე დიდმა და დედამისმა, დედოფალმა ელენემ მიიღეს ქრისტიანთბა; მაშინ მეტემ გამოაცხადა, რომ ყველა მის ქვეშევრდომს თავისუფლად შეეძლო ეღიარებინა ქრისტეს საპრმუნოება. 326 წელს დედოფალი ელენე ჩავიდა იერუსალიმში, რომ ეპთვა ის ჯვარი, რომელზეც მაცხოვანი იყო გაკრული. ბევრი ძიების შემდეგ, იბოვა ის აღგილი, სადაც უფლის ჯვარი იყო გადამალული. გათხარეს მიწა და ნახეს სამი ჯვარი. რომ გაეგთ, რომელი მათგანი იყო უფლის ჯვარი, მთ-



ნაცვლეთშით დაადეს  
ჯვრები მიცვალებულს;  
მესამე ჯვარის დადე-  
ბისთანავე, მკვდარი აღ-  
დგა. მამინ ქრისტეანები  
კრძალვით მიეახლნენ  
ქრისტეს ჯვარს სამთხ-  
ვევად, მაგრამ, რადგან  
უამრავი ხალხი იყო და  
ყველას არ შეეძლო ჯვა-  
რთან მისვლა, იერუსალ-  
იმის პატრიარქი მაკარი  
დადგა მაღალ ადგილზე  
და აამაღლა, ე.ი. ზევით  
ასწია ჯვარი, ხალხი კი

ამ დროს თაყვანს სცემდა მას და ხმამაღლა იძახდა:  
„უფალო, შეგვწყალენ“.

უფლის ჯვარის პოვნას ეწოდება მსოფლიო  
ამაღლება პატითსნისა და ცხოველსმყოფელისა  
ჯვარისა და ეკლესია დღესასწაულთბს  
14 სექტემბერს – საეკლესიო კალენდრით  
(27 სექტემბერს – საერთო კალენდრით).

განსესხულდა. ღიღებად და გადლობად  
უფალსა ღმერთსა ჩუმნსა,  
წყაროსა ყოვლისა კეთილისასა! ამინ!

## საქჩევი

1. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობა; მისი ტაძრად მიყვანება.	
ხარჯბა მარიამისა და მისი მისვლა ელისაბედთან. ....	3
2. შობა იესუ ქრისტესი .....	8
3. მირქმა (მიგებება) იესუ ქრისტესი .....	11
4. მოგვების მიერ ყრმა იესოს თაყვანისცემა .....	13
5. ითანე ნათლისმცემლის ქადაგება უდაბნოში .....	17
6. იესუ ქრისტეს ნათლისღება .....	18
7. იესუ ქრისტეს პირველი მიმღებრები და მისი პირველი სასწაული გალილეის ქალაქ კანინი .....	20
8. ვაჭრების განდევნა ფარიიდან .....	24
9. დავტლმოილის განკურნება ბეთეზდაში .....	25
10. მთუაქტელების გამორჩევა .....	27
11. ქადაგება მთანე .....	28
12. ქრისტი დედაკაცის გარდაცვლილი ძის ოდგენა ნაინში .....	30
13. იგავი მთესელზე .....	32
14. იესუს მიერ ზღვისა და ქარების დამთრჩილება .....	34
15. სისხლმდინარე დედაკაცის განკურნება და იარისის გარდაცვლილი ასულის აღდგენა .....	35
16. ჰერთდე მეფის მიერ ითანე ნათლისმცემლის შეპყრობა და თავის მთკვეთ .....	37
17. ხუთი ათასი კაცის დაბურება .....	39
18. ქანანელი (ასურელი, ფინიკიელი) დედაკაცის ასულის განკურნება .....	40
19. ფერისცვალება იესუ ქრისტესი .....	41
20. იგავი მოწყალე სამარიიელზე .....	43
21. იგავი უძღებ შვილზე .....	45
22. იგავი მდიდარისა და ლაპარატებე .....	47
23. იგავი მეზვერესა და ფარისეველზე .....	49
24. იესუს მიერ ყრმების დალთუფა .....	50
25. ლამაზე მკვდრეთით აღდგენა .....	52
26. იესუ ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში .....	53
27. საყვაელთათ აღდგომისა და სამსჯავროს შესახებ .....	55

28. იუდას გარიგება მღვდელმთავრებთან და საიდუმლო სერთბა .....	58
29. იესუს ლთუგა გეთსამანის ბაღში. იესუ ქრისტეს ჯვარცმა და დაკრძალვა. ....	61
30. იესუ ქრისტეს აღდგომა .....	73
31. უფლის ამაღლება .....	94
32. სულიწმიდის გარდამოსვლა მთკიქულებზე .....	96
33. ყოვლადწმიდა დვითისმშობლის მიძინება .....	100
34. უფლის ცხოველსმყოფელი ჯვარის პოვნა .....	101
<b>გამოყენებული ლიტერატურა .....</b>	<b>104</b>

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. „წმიდა სახარება. თხხთავი“. მეთრე გამოცემა.  
საქართველოს საპატიოარქო. თბილისი 2012.
2. „ბიბლია“. ყველა ასებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით  
გამოსაცემად მთამზადა ედიშერ ჰელიოძემ. თბილისი 2015.
3. „ბიბლია“. საქართველოს საპატიოარქო. თბილისი 1989.
4. წმიდა მღვდელმთავარი თეოფანე დაყუდებული. „სახარებისეუ-  
ლი ისტორია ძე ღმერთის შესახებ ჩომელი ჩუენისა ცხ-  
ორებისათვე განვაცნა“. ქუთაისი 2011.
5. Святитель Феофан Затворник. „ЕВАНГЕЛЬСКАЯ ИСТОРИЯ О БОГЕ  
СЫНЕ ВОПЛОТИВШЕМСЯ НАШЕГО РАДИ СПАСЕНИЯ“.